

წელიწადი  
პირველი



14366100  
1877 წ.

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ფასი 1 ლარი

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწმობა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სასახლის წემოდ. №11 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

<p>„ივერიის“ ფასი 1877 წელს. ათი თვისა, გაგზავნილ და გაუგზავნიელად . . . 6 მან. — თითო ნომერი . . . . . — 15 კაპ.</p>	<p>თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასახეულათ გამოგზავნილ წერილებს. განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.</p>
---	---

**საძიებელი:** I. კიდევ აღმოსავლეთის საქმის თაობაზე. — II. საქართველოს მატრიანე. — III. საზოლიტიკო მიმოხილვა: აღმოსავლეთის საქმე-ოსმალეთი-სერბია. გერმანია. საფრანგეთი — IV. მუშა ბოქვლადე, ლექსი. — V. რუსეთი. — VI. პროვინციული წერილები, წერილი ზირველი, წაკოლა—ც. — VII. ახალგაზრდა გლეხი, სცენები თ. რაფ. ერისთავისა. — VIII. ჩვენის ისტორიისათვის მასალა(შემდეგი). — IX. გაზეთებიდან ამოკრეული ამბები.

**კიდევ აღმოსავლეთის საქმის თაობაზე**

ორ წელს შუა დროს როგორც მოგეხსენებათ ჯერ არ გათავებულა და არავითარი გადაწყვეტილი ამბავი არა ისმის რა აღმოსავლეთის საქმის შესახებ. რუსეთისა და ევროპიის ქურნალ-გაზეთობაში არავითარი ერთგვარი რწმენა და მხედველობა მომავალზე არ მოიძებნება. ზოგი (რასაკვირველია უმეტესი ნაწილი) დღე დღეზე ომის ლოდინშია, ზოგი კი დარწმუნებულია, რომ ომი არ იქნება და საქმე დიპლომატიის მიწერ-მოწერით გათავდება. ვინ არის აქ მართალი და ვინ არის მტყუანი, ამის ზანუხს ჩვენ თავიდან ავიცილებთ მით უფრო, რომ ამ ქვეყნიერობის ბედი და უბედობა მე და შენ მკითხველო ხომ არ გაგვიზიარებს თავის იდუმალს აზრს და არც დაგვიკითხება. რაც მოხდა გუშინ, თუ დღეს — ამასვე კი შეგვიძლიან სჯა და საუბარი.

**ბანება**

კ ა ვ კ ა ს ი ი ს მ ხ ე დ რ ო ბ ი ს ა დ მ ი  
ანრილის 12-სა დღესა, 1877 წ. ტფილისი.

**კავკასიის მხედრობის ლაშკარო!**

უმალესი ნება ხელმწიფე იმპერატორისა გიწვევთ თქვენ, რათა თოფ-იარაღით დაიცვათ ჩვენის მამულის პატივი და ღირსება. თქვენს უკან — კავკასიის მხედრობის სახელოვანი წარსულია, თქვენ წინ — მინდორნი და სიმაგრენია, სადაც თქვენს მამებს და ძმებს თავისი სისხლი დაუხარხარებიათ.

ამხედრდით და წარემართენით ღვთით სამშობლოსა და დიდის ხელმწიფისათვის!

ნამდვილს აწერია:

მთავარ-სარდალი კავკასიის მხედრობისა  
გენერალ ფელცენგმისტერი მიხეილ.

ევროპიის სახელმწიფოებმა ვითომ ჩაღადაც არ ჩააგდეს ოსმალეთის კონსტიტუცია. „აბა კონსტიტუცია რა ოსმალეთის საქმეაო! არა, ბრიყვი ქოშებიანი თათარი და კონსტიტუცია რომ არ გაგონილაო!“ აი ეს ერთი საბუთი, რომლის ძალითაც სახელმწიფოებმა თავსაც და აიგდეს ოსმალეთის კონსტიტუცია. ამას მოჰყვა კიდევ მეორე: ცარიელი კონსტიტუციით რა გამოვიდაო, საქმე ის არის ნამდვილი, ძირეული ცვლილება მოახდინოს

ოსმალეტმა და ზატარა შეღავათი მისცეს თავის სლავიანებსაო. ეს კი, სწორედ მოგახსენოთ, ვერაფერი ქებაა ვეროპიის სახელმწიფო განწყობილებისათვის. მას კონსტიტუცია ფუჭი სიტყვა უოფილა! ამით ვეროპიის მთავრობანი თითქო ეუბნებოდნენ თავის ქვეშევრდომებს კონსტიტუციის დადგენა და ცხვირის დაცემინება ჩვენთვის ერთნაირად ადვილიაო; რომ მოვიდომოთ თუნდ თხუთმეტ კონსტიტუციას და ვადგენთ ერთსა და იმავე დროსაო, და ამით ვითომ ან ჩვენ რა დაგვაკლდებაო, ან თქვენ რა მოგემატებათო! მაგრამ ვინ იცის იქნება ზირად ამას ამბობენ და გულში კი ჰსწამთ ოსმალეტის კონსტიტუციის ძალა. იქმნება გულში ამას ფიქრობენ: „დახე ამ წუეულ ოსმალეტმა რა დაგვძართაო! აკი დაგვასწრო და ზირიდგან ლუკმა გამოგვკლიჯაო“. იქნება ძართლა ეველას ამისთვის ჰქონდა საღერღელი აშლილი და რაღაც ძირეულის ცვლილების თაობაზედ გააბეს ლაპარაკი მარტო იმიტომ, რომ ამასობაში აგები როგორმე ერთმანეთი დავიყოლიოთო და სლავიანები და მათი ქვეყანა ერთმანეთ ში დავიყოთო. ვინ იცის? მაგრამ ის კი ცხადად ამოჩნდა ერთხელ კიდევ, რომ ვეროპიის სახელმწიფოებს სლავიანების დარდი არა აქეთ; რომ ივინი მხოლოდ თავის კერძო სარგებლობას ადგანან და არა სიძართლისა და თავისუფლების დაცვის გზასა.

მოგვიტყვეთ მკითხველო, თუ თავი მოგაბეზრეთ ამ აზრის ხშირად წინ წამოყენებით, როდესაც აღმოსავლეთის საქმესე მოგიუვებით ხოლმე საუბარსა. რა უუეთო! თუ კაცს ცნობიერად თვალ-უურის დევნა უნდა რომელიმე საქმისა, მან ეველასე უწინარეს იმ საქმის არსებითი ძარღვი უნდა შეიგნოს, იზოგოს; მასზედ უნდა დაასკუნას თვისი დედა-აზრი და მით უნდა ამოქმედოს თვისი მხედველობა. ეს დედა აზრი მტკიცედ უნდა გვანსოვდეს ნამეტნავად მაშინ, როდესაც ვიკვლევთ იმისთანა რთულს და დახლართულს საგანს, როგორც საზოლიტიკო და საზოგადოებრივი ცხოვრებაა. ჩვენ რას გეძიებთ, ვჰსთქვათ, აღმოსავლეთის საქმეში? სლავიანების განთავისუფლებას? მას თუ აგრეა, ეოველივე მოძრაობა, რომელიც ამასეად არ არის მიძართული დობე-უორეს მოდებან, აქეთ-იქით ხეტება, გზიდამ გადახვევან. ხომ თავი და თავი აღმოსავლეთის საქმისა სლავიანების განთავისუფლება იყო. ჩვენ ამის დავიწყება არ გვინდა. ხშირად მოგუვაეს ეს აზრი იმიტომ, რომ გზა არ დაგვებნიოს იმ დაბნეულს და დაბურულს ტეეში, რომელსაც აღმოსავლეთის საქმეს

კმანხან. დიხლომატიამ ამ აზრს გზა აუქცია. თუძცა ამ ბოლოს დროს ვითომ გულმტკიუნეულობაც გამოაჩინა სლავიანებისადმი. მისი უკანასკნელი ღვაწლი ღონდონის სიგელია, რომელიცა, სხვათა შორის, აი რა არის მოხსენებული: „უზირატესნი სახლმწიფონი თვისთა წარმომაღგენელთა მეოხებით თვალ-უურს დაიჭერენ, რომ ოსმალეტმა აღსრულებაში მოიუვანოს მის მიერ დაზირებული ცვლილებანი.

თუ ვინიცობან უზირატესთა სახელმწიფოთა მოლოდინი არ გამართლდა და ოსმალეტის ქრისტიანების ბედი იმდენად არ გაკეთდა, რომ სამუდამოდ მოისწოს ეს დრო-გამომეებითის შოთის მიხეხი, სახელმწიფონი ვალდებულნი არიან გამოუცხადონ, რომ ამ რიგი მდგომარეობა საქმისა მათთა და აგრეთვე მთელის ვეროპიის წინააღმდეგი იქმნებაო. ამ შემთხვევაში უზირატესთ სახელმწიფოებს სრული უფლება ექმნებათ საერთოდ მოიზოფონ ის სამუალება, რომელიც უფრო მტკიცედ დაეხმარება ქრისტიანების კეთილ-მდგომარეობას და საეოველთაო მშვიდობიანობას“. გარდა ამისა სიგელში გამოთქმულია უზირატესთა სახლმწიფოთა იმედი, რომ „ოსმალეტი აწმეო მშვიდობიანობით ისარგებლებს და მოახდენს იმ ცვლილებას, რომელიც აუცილებელი არის ქრისტიანთა მდგომარეობის გაკეთებისათვის“. გამოთქმულია აგრეთვე სურვილი, რომ ოსმალეტმა დაშალოს თავისი ჯარი და მშვიდობიანობის ფესზე დააყენოს.

აი მაგალითი დიხლომატიის მოღვაწეობისა. რა არის აქ მტკიცე და გადაწვევტილი? „თუ ვინიცობან... უფლება ექმნებათ მოიზოფონ სამუალება“ და სხვა ამგვარი სიტყვები რის მაქნისია? რის გამოსადეგია ამგვარის სიტყვებით სახვე სიგელი ან ვეროპიისათვის და ან ოსმალეტისათვის? ამისი ზასუხი თვითონ ოსმალეტს მიანდეს: ინგლისმა თავისის მინისტრის, დერბის ზირით გამოაცხადა, რომ თუ ვინიცობან ოსმალეტმა არ მიიღო ეველა ის, რაც სიგელში არის მოხსენებულიო, მაშინ ამ სიგელს ჩამოერთმევა ეოველივე მნიშვნელობაო. ოსმალეტმა, რასაკვირველია, უარ-ჰეო სიგელი და მით გააუქმა და ფუჭად აქცია. ღონდონის სიგელს მოჰევა ცალკე დეკლარაცია (განცხადება) რუსეთის მიერ. ამ დეკლარაციაში მოხსენებულია, რომ „თუ ოსმალეტი ჩერნოგორიას მოურიგდება, თუ მიიღებს

უპირატესთა სახელმწიფოთა რჩევას და თავის ჯარს დაშლის, თუ ამასთან მტკიცე სურვილსაც გამოიჩინს ცვლილების აღსრულებისას, მაშინ გამოგზავნოს რუსეთში ცალკე დესანტი ჯარის დაშლის თაობაზედ მოსალაპარაკებლად“. რაღა თქმა უნდა, რომ ამ დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ, გულნაწევი ოსმალეთი სიგელის ხსენებასაც ვერ მოინელებდა-

ევროპის დიპლომატიის მოღვაწეობას ერთი ხასიათი სჭირს: მას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს სლავიანების განთავისუფლებისათვის. ვისთვის ან რისთვის შრომობს დიპლომატია, დემოტმა უწეის. ეს კი ვიცით, რომ ბუდკრული თავისუფლობა სადღაც კუთხეშია მიმალული. მართლა და ვსთქვათ ოსმალეთმა მიიღო ლონდონის სიგელი, ე.ი. მტკიცე სურვილი გამოიჩინა ცვლილების მოხდენისა და ჯარის მშვიდობიანობის ფერზე დაეყენებისა; ვსთქვათ, რომ დესანტიც გაგზავნა რუსეთში და, ერთის სიტყვით, მშვიდობიანობა ჩამოვარდა ევროპაში. ამით სლავიანებს რა ერგოთ? „ოსმალეთზედ თვალ-უური გვეჭირებაო“, ამბობს დიპლომატია. იმდენი დაიჭირეთ ვიდრე მოგეწეინათო, – ეტყვის მათ ოსმალეთი, – მაგაზე მეტს ხომ ვერას გაარბებთო. ოსმალეთმა რომ არავითარი ცვლილება არ მოახდინოს თავის სახელმწიფოში, ვინ იქნება სლავიანების ჰატრონი? ევროპას ხომ არავითარი მტკიცე გადაწყვეტილება არ მიუღია ამ შემთხვევისათვის!

მაშ სადღაა სლავიანების განთავისუფლება? ოსმალეთს რომ ლონდონის სიგელი მიეღო, მაშინ უფრო ცხადად გამოჩნდებოდა, რომ ევროპას სლავიანებისა ბევრი არა ენაღვლება რა: მაშინ თვით საქმე გვანხვენებდა, რომ იგი სიგელი სლავიანთა ბედისათვის არ არის მომართული. ეხლა კი.... ეხლა კი რაღა ეთქმის კაცსა: ომი გამოცხადებულია და სლავიანების ბედი ომის მიმდინარეობაზედ და შედეგზედ არის დამყარებული.

საქართველოს მატთანე

– 12-ს აპრილს **ხელშეწივი იმპერატორმა** კიშინევიში მოაწერა ხელი უმაღლესს მანიფესტსა, რომლითაც ომი გამოეცხადა ოსმალეთს, – და მხედრობას რუსეთისასა, სამზღვრებზედ შეკრებილსა, ბძანება მიეცა ოსმალეთის იმპერიაში შესვლისათვის.

– 12 აპრილს, შუადღის შემდეგ ქალაქში ხმა გავარდა, რომ ომი გამოცხადებული იქნებაო. ეს ხმა ელვაზედ უმაღლესს მოედო მთელს ქალაქსა და ეველანი მარტო ამას კითხულობდნენ: სად იქნება გამოცხადებაო. ორის ნახევრიდამ ეტლი ეტლზედ მიგრიალებდა შუა ბაზრისაკენ. გამოჩნდა რომ სიონში იუვენე მიწვეული ეველანი, სამხედრო და სამოქალაქო ხარისხის მექონნი გვამნი. ორს საათზედ მთელი სიონის სობორო აივსო ხალხითა, კაცითა, თუ ქალითა. სიონის ზემოდ, მკერვლების დუქნებთან დამწკრივებული იყო ცოტაოდენი ჯარი. ბანებზედ, ჩვეულებისამებრ, ხალხი მოგროვდა. სამს საათზედ მობძანდნენ სიონში მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი. შემოასვენეს სიონში დროშა მხედრობისა. არქიელმა ჰარაკლისი გადახდა, აკურთხა დროშა, ასხურა აიახმა, მას შემდეგ არქიელი და სამღვდელონი გამოვიდნენ გარედ და აიახმა ჯარს ასხურეს. მის იმპერატორებითის უმაღლესობა მიხეილ ნიკოლოზის ძე რომ გამობძანდა და ჩაბძანდა ეტლში, ჯარმა და აქ მდგომმა ხალხმა ერთხმად ურა დაიძახეს დარამდენჯერმე განიძეორეს.

სიონში მოგროვილთა გვამთა სახის მეტყველება ერთობ შეწუხებულად გვეჩვენა; ეველა დაფიქრებული იყო და ნაღვლიანი, ქალთა შორის ზოგნი ტიროდნენ კიდევ. განა კი სატირელი არ არის? რამდენი დედა ვეღარ ინახულებს შვილს, რამდენი და ვეღარ გადახვევა ძმას, რამდენი შვილი იტირებს მამასა!... სისხლი, სისხლი და კვალად სისხლი! ნეტა რით ვერ გაძდა ეს გაუძამდარი დედა-მიწა ამოდენა ადამიანის სისხლითა! ნუ თუ კაცობრიობის ბედს ესე უწერია, რომ თუ არ სისხლის ღვრით, იგი კეთილს ვერ მოიპოვებს! ეჭა ადამიანის სვევ, შენ სისხლში ამოვლებულის ტყვიის მეტი არა ეოფილხარ რა! მაგრამ ეხლა რაღა? დღეს ომია, ხვალ თუ ზევ ბრძოლის ჭექა-ქუხილსაც შევიტეობთ.

თვით მშვიდობის-მოყვარე ხელმწიფე იმპერატორი ჰსწუნდა. მაგრამ ეხლა იძულებულ იქმნა და ბძანა ომი. ჩვენც ხმაღს ხელი უნდა ვიკრათ და ჩვენს მძებთან ერთდ სისხლი. ვლვართ

– 12-ს აპრილს დილით ოთხივე ჩვენის კავკასიის ლაშქარი გუმბრისა, ერევნისა, ახალ-ციხისა და რიონისა ბინიდან დამრულა და ოსმალეთის სამზღვრებს მშვიდობით გადასულა, დამრულა დუნაის მხედრობაცა.

– ხვალ, ჰარასკევს, სასაფხულო თეატრში ქართულის სცენის მოყვარენი წარმოადგენენ უფ. სუნდუკიანცის სამ მოქმედებიან კომედიას „**ხათაბაღას**.“ იმედი გვაქვს, რომ ამ წარმოდგენაზე უფრო მომეტებული მახურებული დაეხსრება, ვიდრე ზირველ წარმოდგენაზე, 5 აპრილს.



– 12 მარტს ზედამხედველს კამიტეტს გაუსინჯავს წლის ანგარიში ტფილისის თავად-ანჯანუთა საადგილ-მამულო ბანკისა, უცნობის მისი სიმართლე და დაუმტკიცებია. ამ ანგარიშიდან ჰსხანს, რომ ბანკს გრძელ ვადით გაუცია 592,500 მანეთი და სესხი რიცხვით ეოფილა ოთხმოც და თერთმეტი. აქედამ სოფლის მამულებზედ გაცემულა 184,400 მანეთი და სესხი ეოფილა სამოც და ექვსი. ამას გარდა გასაცემად გადაწვევტილი და დანიშნული ეოფილა ოცდა ხუთი ქალაქისაზედ – 408,100 მანეთი სესხი ეოფილა ცხრა სესხი 36,300 მანეთისა. აქედან სოფლის მამულზე ხუთი სესხი 18,800 მანეთისა, ქალაქისაზედ ოთხი სესხი 17,500 მანეთისა. სოფლის მამულებზედ გაცემული სესხი მანრებთა შორის მოწუობილა ამ რიგად:

ტფილისის მანრამი	—	18	სესხი	—	111,000	მან.
გორის	—	—	7	—	73,200	—
სიღნაღის	—	—	1	—	5,000	—
თელავის	—	—	1	—	3,000	—
თიანეთის	—	—	2	—	10,200	—
დუშეთის	—	—	1	—	800	—

სოფლის მამულებზედ გაცემულს და გასაცემად დანიშნულს ოც და ხუთს სესხში გირაოდ მიღებულია 29,569 დღიური დაასისაქენი, რომელიც დაფასებულია 413,800; 70 ქალაქის სესხში მიღებულია გირაოდ ქალაქის უძრავი ქონება, რომელიც დაფასებულია 778,300 მან. \*)

მოკლე ვადითი სესხი ეოფილა სულ ორმოცდაათი 62,900 მანეთისა. აქედამ ქალაქის მამულზედ ხუთმეტი 14,400 მანეთისა, სოფლის მამულზედ ოცდახუთმეტი 48,500 მანეთისა. ამათშორის ეოფილა:

ასს თუძანზედ ნაკლებ	—	14	სესხი	—	7,200	მან.
ასისი თუძინიდან ორასამდე	—	36	—	—	55,700	მან.

ოცდა ხუთმეტი სესხი სოფლის მამულზედ ამ რიგად მორიგებულია სხვა და სხვა მანრამი:

ტფილისისამი	—	6	სესხი	—	9,600	მან.
გორისამი	—	—	12	—	12,400	—
თელავისამი	—	—	6	—	7,600	—
სიღნაღისამი	—	—	7	—	12,200	—
დუშეთისამი	—	—	4	—	6,700	—

რაც ბანკი მოქმედობს 1877 წლამდე სულ ორი სოფლის მამული ეოფილა გასასეიდად დანიშნული. ერთი იმათგანი არ გაუიდულა და დარჩენია ბანკს, მეორე თუძინა გაუიდულა და ხვედრი ფული სრულად შექოსულა, მაგრამ ნასეიდობის სიგელი მსეიდველს არ გაუტანია.

\*) აქედამ კრთი ქალაქისა 500 მანეთისა გასაცემად დანიშნულ ეოფილა.

ბანკს 1876 წლის მოქმედებიდან დარჩენია ხარჯ-გარეთად წმინდა მოკება სამი ათას ორმოცდა შვიდმეტი თუძანი ერთი მანეთი, ოთხ აბაზ უხალთუნი და 1/2 კაპ.

– ეველას მოკესხენებთ, რომ სახალხო სასწავლებელში ბოლოს ჟამს მასწავლებელათ წესდების ემაწვილი კაცები. ეს თურმე არაფრად მოჰსწონთ მღვდლებსა, რომელთაც მასწავლებელთა თანამდებობა ებარათ დღეის აქამომდე. გაბოროტებული ცდილობენ, რომ სასწავლებლის საქმეს ხელი შეუძალონ, ამისათვის ხალხში ცუდს ხმებს უერიან ახალგაზდა მასწავლებელთ, ჩაჰსძახიან თურმე სოფელთ, რომ სასწავლებელი წარალის მეტს არავითარს სიკეთეს არ მოგცემთო, შვილები თუ არ გაგერევენებათო, თორემ სწავლით კი ვერას ისწავლიანო და სხვა ამ გვარი. ამ სახით ისინი თურმე სრულად გულს უცრუებენ უამისოდაც, შვილების სწავლაზედ, გულგრილს გლენობსა ასე რომ, ამ ბოლოს დროს მოწაფეთა რიცხვმა ზოგიერთ სასწავლებელში არამც თუ იმატა, არამედ ეკლო კიდევ. ესლა აკლდა ჩვენს უბედურს სვეზედ გაჩენილს სახალხო სასწავლებელსა! კარვს იქმონდა სასულიერო მმართველობა, რომ ამ გარემოებისათვის ჯეროვანი ეურადლება მიექცია და მღვდლებისათვის საზოგადოდ ბძანება მიეცა მასზედ, რომ ივინი ვაღდებულ არიან ხელი წარუძართონ სწავლის საქმესა და ეოველი გვარი შემწეობა გაუწიონ.

– ჩვენ შევიტყეთ, რომ სასოფლო სასწავლებელთ თავთავის დროზედ არ მისდით სასწავლებელში სახმარი წიგნები და სხვა საჭირო ნივთები. ამის გამო სწავლა ბევრად ბრკოლდება. ზოგიერთნი სასწავლებელნი ნახევარ წლობით მოკლებულ არიან თურმე ამ უსაჭიროესს ნივთებს. ამის მიზეზი ის არის, რომ წიგნების, თუ რისამე დაბარებისათვის მრავალ კიბიანი და დახლართული ვზა არსებობს. იქნება მკითხველს მოხსენებული ჰქონდეს, რომ სასწავლებლის ფულს გლენობა ინდის სახელმწიფო ხარჯთან ერთად და სამაზრო ხაზინაში შეაქეთ შესანახავად. როცა სოფლის მასწავლებელს წიგნების დაბარება სურს, ტფილისის დირექტორს უნდა გაუგ ზავნოს ქალაღდი და აცნობოს რიცხვი და ფასი საჭირო წიგნებისა. დირექტორი ჰსწერს სამაზრო ხაზინას ამა და ამ მასწავლებელს ამდენი და ამდენი ფული მიეცითო. მიდის სოფლიდან მასწავლებელი სამაზრო ქალაქში ფულის ასაღებათ და სტოვეებს სასწავლებელს. აიღებს ფულს და ტფილისში გზავნის კამმისიონერთან და სთხოვს ამ ფულში ესა და ეს წიგნი გამომიგზავნეო. კამმისიონერი უგზავნის წიგნებს სამაზრო ქალაქში და მასწავლებელი კიდევ ხელმეორედ უნდა ჩამოვიდეს სოფლიდან მანრის ქალაქს, რომ წიგნები მიიღოს, ახლა თუ სახეში ვიქონიებთ იმ

ტატი და აუქარებელივ საქმის წარმოებას, რაც თან სდევს ეველა მიწერ-მოწერას, ადვილად მიხვდებით, – რად არიან ხოლმე სასწავლებელი ნახევარ-წლობით უწივრით და ურარათ დაჩენილნი. ამ უმიხვოდ და უსაბუთოდ დახლართულს რივს განა შეეღა არა აქვს! განა არ შეიძლება, მასწავლებელმა მოსწეროს დირექტორს ესა და ეს წივნი, თუ ნივთი საჭიროა, დირექტორმა კიდევ მაძინვე კამმისიონერს მიჰსწეროს დაბარებული გაუგზავნეო ჰირველისავე ფოტით და ამასთანავე მასწავლის ხაზინასაც აცნობოს, რომ კამმისიონერს გამოუგზავნოს ხვედრი ფული. ამ გვარი სწორი ვა საქმესაც ხომ დაეხმარებოდა და თვით მიწერ-მოწერასაც შეამოკლებდა.

– სომხური გაზეთი „მშაკი“ ამბობს, რომ ზოგიერთს ადგილას ტფილისის გუბერნიასი კალია განხდაო.

– „ამბობენ ერთს რომელსამე ქალაქში, ვინ იცის იქნება ქართლისამიანც, სამი „ზრისტავიაო“ ზოლიციისა და სამი „დესეტნიკიო“: ერთი ერთსა ჰეავს, მეორე – მეორეს და მესამე მესამეს და მოჯამაგირეებსავით ემსახურებიანო. რაც უნდა მოხდეს ეს „დესეტნიკები“ ეურს თურმე არ იბერტყენ, რა ხვენი საქმეაო.“

– „გორის სასეირნო ბაღში, რომელიც მტკვრის ზირხედ მდებარეობს, არის აშენებული ფიცრული. ამას „როტონდას“ ეძახიან. ამ ქადად ამ ფიცრულს ქართულის თეატრისათვის ჰმართვენ. სადურგლო მუშაობა ორი კვირაც არის დაიწვეს და სცენა ესლა მხად არის და მომავლის კვირიდამ წარმოდგენაც დაიწვება გორის საქალო სასწავლებლის სასარგებლოდ.“

– „ქართლში ერთის სოფლის მამასახლისს ჰმართებია ვალი ერთის ზირისა, რომელიც „მტატ“ გარეთი მოხელე თურმეა რომელიდაც სასამართლოსი. მამასახლისს არ ჰქონებია დეზად ფული, რომ ვალი მოემორებინა. ამდგარა და უხმარია ეს უურადღების ღირსი ხერხი: სოფელში გამოცხადებია, რომ კომდეგულად ბეგარა არის შემოწერილიო, მაგრამ მე, როგორც მამასახლისს, შემიძლიან თავიდან ავაცილოთ ეს ბეგარაო, თუ რომ თითო აბაზს გამოიღებთო. ეველას სინარულით მიუცია. ერთს დედა-კაცს ქვრივსა და მოხუცსა არა ჰქონია ის წვეული ერთი აბაზი, რომ ამ საუოველთაჲო სინარულში მონაწილეობა მიეღო. აუკიდრია საწვალსორ ჩანახამდე ქერი, თუ ჰური და კარის-კარ უვლიან თხოვნი: თქვენი ჭირიმე, იეიდეთ, რაც გინდა მომეცითო, მაწუხებენ ბეგრის ფულისთვისაო. ორი ჩანახი ორ შაურად გაეიღნა უბედურს, ასე გაჰსჭირებოდა საქმე. ორ შაურადაც წინდები გაეიღნა და ისრე გადაეხადნა მელაძუა მამასახლისის ვალი. ესრე ავაზაკურად შეავროვა მამასახლისმა ფულიო და თავის მოვალეს

მიჰსცაო, ამბობს ბოლოს გულმოწვევითად ჩვენი კორესპონდენტი: მოხელე კაცი რომ, მფარველობის ნაცვლად, ასე ექცევა გლეხებს, სხვისაგან რაღას უნდა მოველოდეთ. გადამთიელი ვინმე რომ მოვიდეს სოფელში და ჰსთქვას მე ჩაფარი ან „ჩინოვნიკი“ ვარო, რასაც უნდა იმას ჩაიდენს. ხმის გამცემს კი ნუ იკითხამთო.“

საზოლიტიკო მიმოხილვა

**აღოსავლეთის საჩხე.** – დღეს ოსმალეთისა და რუსეთის შორის ომი გამოცხადებულია. ეხლა ეველას ფიქრში ეს მოხდის სხვა სახელმწიფოსაც გადაეღება ეს ომი, თუ მარტო ამ ორთა შორის გაიმართება ბრძოლა! და თუ სხვასაც გადაეღება, ვინ იქმნება რუსეთის მომხრე და ვინ მისი წინააღმდეგი? თუ მთელის ევროპის ომიანობა ასტელება, ამის ბოლო რა უნდა იეოს? გულთმისანი უნდა იეოს კაცი, რომ ეოველის ამის ზასუხი გადაწვევითად გამოჰსთქვას; სჯა და მოსაზრება კი, რასაკვირველია, მესამელებელია და აქ მოგასხენებთ რას ფიქრობენ ამ საგანხედ სხვა და სხვა გაზეთები.

აირას იწერება ჰეტერბურლიდგან ერთის ინგლისის გაზეთის კორესპონდენტი: „ინგლისის ეოფა-ქცევა გაუგებარია. ლორდის დერბის (ინგლისის უცნოთა საქმეთა მინისტრია) ზირით ინგლისის მთავრობა მარტო იმასა ცდილობდა, აგები როგორმე მთელი ევროპის ომი არ ასტედესო. მაგრამ ვისაც ოსმალეთისა და ევროპის მდგომარეობა ესმის, მის თვალში ინგლისის მოქმედება თითქო განკებ საუოველთაო ომის ასტენისათვის მომართულიაო. ომის თავიდაც აცილება მხოლოდ მაშინ არის შესამდელებელი თუ ევროპის კონცერტი (თანხმობა) არ დაირღვა. ინგლისი კი თავის მოქმედებით ამ თანხმობას სრულებით ძირს უთხრის. ოსმალს იმჟერის დაცემა და დარღვევა აუცილებელი საქმეა. თუ ეს დარღვევა ისე მოხდა, რომ მის შესახებ უზირატესთა სახელმწიფოებმა არავითარი ზირობა არ შეჰკრეს ერთი-ერთმანეთში, მაშინ, რასაკვირველია, მთელის ევროპის ომიც თან მოჰყვება. თუცა არავინ იცის რა ჰსურს ლორდს დერბის მომავალში და რა საშუალებას იმმარებს თავის სურვილის აღსასრულებლად, მაგრამ რუსეთში კი გაცნობით და აღელვებით უეურებენ ინგლისის მოქმედებას, და ფიქრობენ, რომ ინგლისს მართლა ოსმალეთის დაცემა უნდაო და საუოველთაო ომის ასტენაო.“

მართლა და თუ არავითარი ზირობა და შეკრულობა არ მოხდა ოსმალს იმჟერის დარღვევის თაობაზედ

საყოველთაო ომი მოსალოდნელია, უფრო იმიტომ რომ არავინ იცის, — სადამდე მიაღწევს ომი რუსეთისა და ოსმალეთის შორის. ჯერ ჯერობით მაინც რას უნდა მოელოდეს რუსეთის სხვადასხვა სახელმწიფოებისაგან? რომ ინგლისი რუსეთის მოწინააღმდეგე იქმნება ამას ეჭვი არა აქვს. მაგრამ ინგლისი ომის დაწყების უძალევი მიიღებს მონაწილეობას, თუ მართლა მოუცდის ვიდრე მის ზირდა ზირ სარგებლობას ვნება რამე მიეცემა, რა მოგახსენათ. ერთი ნემეცურის გაზეთის კორესპონდენტი კი დარწმუნებით ამბობს, რომ თუ საკუთრივ ინგლისს არავითარი ვნება არ მიეცაო, იგი ომში მონაწილეობას არ მიიღებსო.

ავსტრიის შესახებ კი სხვა და სხვა ამბავი ისმის. მაგრამ ბოლოს დროს ეს ხმა დავარდა, რომ რა წამსაც რუსის ჯარი ბოლგარიაში შევა, ავსტრია ბოსნიას და ჰერცეგოვინას დაიჭერსო. რა შედეგი ექმნება ამას მომავალში, ის ღმერთმა უწყის. აი რას იწერება ერთი ნემეცური გაზეთი: „თუ ვინცობაა ოსმალ-რუსის ომმა იქამდინ მიახწია, რომ ოსმალეთი დაირღვა (ეს შესაძლებელიაო), მაშინ ჩაერევა ავსტრია მარტო მისთვის, რომ რუსეთთან ერთად დააკმაყოფილოს თავისი კანონიერი უფლებანი. ავსტრია, რასაკვირველია, ძალადობას არ იხმარებს რაიმეს შექმნისათვის, მაგრამ თავის სარგებლობის დაცვისათვის კი არაფერს არ დაზოგავს.“

გერმანიაზედაც სხვა და სხვა ხმა ისმის. ამას წინედ ამბობდნენ, ვითომ ბისმარკი იმიტომ გამოდის სამსახურიდან, რომ გერმანიის იმპერატორს არ ეთანხმება რუსეთის პოლიტიკის შესახებ, ვითომ ბისმარკი რუსეთის წინააღმდეგი იყოს და იმპერატორი კი მისი მომხრე. მართალია ეს თუ არა, ამისიც გულდაჯერებით არავინ არა იცის რა. მხოლოდ ის კი ვიცით, რომ გარეგან საქმეებში ბისმარკის დროებით სამსახურიდან გამოსვლას არავითარი გავლენა არ ექმნება, და გერმანიის პოლიტიკა მით არ გამოიცვლება. ბისმარკი რომ შორიდგანაც ძლიერია, ამასვე გვარწმუნებს ის გარემოება, რომ მთავრობის ეოველის განკარგულების ზასუსის მკებელი იგივე ბისმარკია. რაც უნდა იყოს გერმანიის მხრიდან რუსეთი მეგობრობას მოელის.

საფრანგეთს სრულებით არ უნდა ომი და თუ მოხდა არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს.

იტალია კი როგორღაც ორზირათ იქცევა. ისიც თავის ლუკმან აღმოსავლეთის საქმიდან მოელის.

**ოსმალეთი.** — რუმინიდან იწერებინ, რომ ოსმალეთის ბეჯითობა მართლა გასაოცარიაო. დუნაის ნაპირების დასაცველად 24 კრუპოვის ზარბაზანი გაუგზავნია. ვიდრინშია გაუგზავნია

30,000 ტომარა ფქვილი. ამბობენ, რომ დუნაის ლაქარი 200-ს ბატალიონისაგან არის შემდგარიო.

— საშინელი მოძრაობაა ამ ქამად სტამბოლში, რადგანაც დღე-დღეზე ომის ლოდინში არიან. „მშვიდი და მწუერვალის ჯარის დაძლა შეუძლებელიაო, და სხვაც რომ არა იყოს რა ხონთქარს მარტო ამის გამოცხობით უნდა ომიო, რომ ამდენს მშვირ-მწუერვალს ხალხს საქმე აუჩინოსო“, იწერებინ სტამბოლიდან. იმავე ქალაქიდან გაზეთის „France“-ის კორესპონდენტი იწერება: „მართალია ოსმალეთის სახელმწიფოს მოთავე კაცთა შორის იმისთანაინც მოიპოვებინ, რომელთაც გულით ჰსურთ ომი აიცილონ თავიდან, მაგრამ ბევრი რამ აბრკოლებს მათის წადილის აღსრულებას. ოსმალეთის ქვეყანა იმისთანა მდგომარეობაშია ჩავარდნილი — ზნეობითისა თუ ეკონომიურის მხრით, — რომ დაძლა ჯარისა საშინელ არეულობას და აჯანყებას მოასწავებს. ამ ქამად ოსმალეთში თითქმის 400,000 ჯარის კაცია, რომელთაც რამდენიმე თვე ჯამაგირი არ მიუღიათ და ძლივს იკვებებინ, ეოველ წამს მხად არიან აკლებისა და ავაზაკობისათვის. ამოდენა ხალხის დაძლა და შინისკენ გასტუმრება ძნელია, თუ გზის ხარჯი მაინც არ მიეცათ; მაგრამ ოსმალეთის სახელმწიფო თვითონაც დიდ გაჭირებაშია და იმათ რა უნდა მისცეს. თუ ხარჯი არ მისცა და ისე გაისტუმრა — ეს ხომ მთელის ქვეყნის ახსრების მიხეზათ შეიქმნება.“

— სტამბოლიდან ერთს ვითომ საკვირველ რასმეს იწერებინ ფრანციულს გაზეთში „Temps“-ში: „კონსტიტუციის მეთორმეტე მუხლში მოხსენებულია, რომ ბეჭდითი სიტყვა თავისუფალიაო. ეს მუხლი, რასაკვირველია, დიდად სასიამოვნოა ეველა ჟურნალ-გაზეთობის წარმომადგენელთათვის, მაგრამ ოსმალეთში სუფევს ერთი მინისტრის განკარგულება, რომლის ძალითაც მწიგნობრობის ეელის საბე-ლი ადმინისტრაციის ხელშია ჩავარდნილი. ეს განკარგულება მოხდა 1867 წელს, როდესაც კანდია წინა აღუდგა ოსმალეთს და მით ზირში ლაგამი ამოსდეს ბერძნის ჟურნალ-გაზეთებსა, რომელნიც მწურვალის გულით ესარჩლებოდნენ კანდიელებს და მით დიდად ჩააფიქრეს ოსმალეთის მთავრობა. მას აქედ ბევრი კოკა წყალი დაიღვარა, მაგრამ ეს განკარგულება ისევ ისე სუფევს და სუთავს მწიგნობრობას. მწერალს ამ განკარგულების შიშით არ შეუძლიან თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი და თუ გაბედა ცენზურები კაი დღეს არ დააურინ.“

აბა ეოველივე ეს რად უნდა გვიკვირდეს მე და შენ მაინც, მკითხველო? ვითომ განათლებულს სახელმწიფოებში კი ამისთანა არა მოიპოვება



რა. ის დალოცვილი „Temps“ თავის ქვეყანას მაინც გადახედავდა, საცა რესპუბლიკა სუფევს და მწიგნობრობის კანონები კი ისევ სულთა მსუთავის იმპერიისაა. მაგრამ საფრანგეთს კიდევ არა უშავს რა, რადგანაც ეს კანონები დღეს არა, ხვალ შეიცვლებიან, თქვენ სხვისა ინალვლეთ.

— ერთ ფრანციულ გაზეთში აღწერილია ის საძინელი მდგომარეობა, რომელშიაც ჰერცოგოვინა იყოფება ამ ქადა. ოთხმოცი ათასი (80,000) სული ბერძნის საწმუნოებისა ჰერცოგოვინიდან გადასახლებულაო ჩერნოვორობაში, ოცდახუთი ათასი დალმაციაში, \*) ოცდა თხუთმეტი ათასი დაღუპულაო ზოგი შიშილიისაგან, ზოგი ოსმალებისაგან და ექვსი ათასი კაცი საომრად გასულაო. მამ ამ ქადა გერცოგოვინაში ორმოცი ათას სულამდე დაჩენილა, რადგანაც ამ ქვეყანაში სულ 180,000 მცხოვრები სული ითვლებოდა.

ჰერცოგოვინა სრულებით დაცარიელდა და თითქმის არსად არ მოიპოვება არამც თუ ადამიანის სული, არამედ არავითარი სადგომიც, ისე საძინელად არის აკლებული და აოხრებული. შეუმუშავებელი ეანები, გაწვეტილი საქონელი, გადამწვარი სახლები და ეკლესიები — აი რა სურათს წარმოგვიდგენს ამ ქადა ჰერცოგოვინის ქვეყანა. ბოხნიის უოფაც თითქმის ესეთივეა. მის მცხოვრებთა შორის აქამდისინ 82,000 გადასახლებულა კოლაციამი \*\*) და თითქმის 10,000 დალმაციაში.



**სმრბია.** — როგორც ისმის სერბია ხელმეორედ აწირობს ოსმალებით ან ომსა, თუ რუსეთი ომს დაიწვესო. თუ ეს ამბავი მართალია, მამ ესლა, როდესაც რუსის ჯარი სამზღვარს გადასულია, უნდა მოველოდეთ სერბიას და ოსმალებით შორის ომიანობას. კარგი არა დაეწება რა ოსმალებითის სახელმწიფოს, მეტადრე თუ საბერძნეთმაც აუტუნა ომი. ბარემ აუტუნდა კიდევ, მაგრამ ინგლისისა ემინიან. ეს კი გამოაცხადა საბერძნეთმა, რომ სხვაფრივ უოველ გვარს შემწეობას მივცემო აჯანუებულს სლავიანებსაო.



**ბერმანია.** — აი რა წერილი გამოუგზავნა ბისმარკმა რეინსტალის ჰრეზიდენტის სახელზე: მაქვს ჰატივი უმდაბლესად ვაცნობო „თქვენს მაღალ კეთილშობილებასა“, რომ ჩემის სიმრთელის მდგომარეობა, ჩემდა გულითად სამწუნაროდ, ნებს არ მამლევს მივილო მონაწილეობა აწინდელის რეინსტალის შრომაში. ჩემის სიმრთელის

აღდგენისათვის მისმა დიდებულებამ იმპერატორმა იხება ჩემი დროებით დათხოვნა და დათხოვნის ვადამდე წარმოება მომდინარეთა საქმეთა მიენდობა: მინაგანთა — იმპერიის საკანცლერო ჰრეზიდენტს და უცხოეთის საქმეთა — სტატს-სეკრეტარს უფ. ფონ-ბიულაუს. ვსთხოვ თქვენს მაღალ კეთილშობილებას ეოველივე ეს აცნობათ რეინსტალსა. ბისმარკი.

ექვი არ არის რომ ბისმარკი ჩქარა დაუბრუნდება საქმეებს; უიმისოდ ამისთანა დროში გერმანიას საქმე გაუჭირდება. — ნემენცურ გაზეთებში სწერია, რომ იმპერატორი ვილგელმი ელზას-ლოტარინგიაში აწირებს წასვლასაო, მაგრამ ჯერ ეს წასვლა გადაწვეტილი არ არის და დამოკიდებულია ოგარეჯან საქმეებზე“. ესლა ეს „გარეჯანი საქმე“ სომ ცხადია. მამ იმპერატორს ელზასში მოგზაურობა მოუცდება.

— რეიდსტალის დეპუტატებმა, რომელნიც სოციალ-დემოკრატის დასს ეკუთვნიან, გამოაცხადეს რომ 27 — 30 მაისსქალაქსოტას გაიმართება სოციალ-დემოკრატების კონგრესი (ერილობა), სადაც მიიწვევა ეველა ვინც ამ დასის კაცებს თანაუგრძნობს. ამ კონგრესს და-ესწრებიან მხოლოდ მუშა-ხალხის წარმომადგენელი, თვითონ ხალხის მიერ აღმორჩეული. შემოხსენებულნი დეპუტატი წარუდგენენ კონგრესს ცნობას მასზედ თუ მათგანს ვის რა უღვაწია.

რალა თქმა უნდა, რომ ამ დეპუტატთა მოღვაწეობა გულმტკივნეულობით და თავგანწირულებით აღსავსეა. იქნება თვით ჰარლამენტშიაც მიეცეთ მათ შემთხვევა გამოახინონ მათთა აღმომჩეველთა წინაშე თავისი მტკიცე სამსახური სოციალ-დემოკრატების საქმისა და წადილის დაცვისათვის. საქმე იმაშია, რომ ამ ცოტა ხანში გერმანიის ჰარლამენტის წინაშე წარდგენილ იქმნება კანონი შესახებ მუშა-ხალხის მფარველობისა. ეს კანონი შემზადებულია სოციალ-დემოკრატის დეპუტატთა მიერ და მათგანვე შეტანილ იქმნება რეინსტალში. თქმა აღარ უნდა რომ ამ საქმის თაობაზედ დიდ დირს-საცნობი ბაასი გაიმართება ჰარლამენტში.



**საფრანგეთი.** — ერთს ინგლისურს გაზეთს მოჰავს შედგევი რიცხვი საფრანგეთის ლამქრისა: მოქმედი ლამქარი შეადგენს 1,300,000 კაცს. ამას ტერრიტორიის ჯარიც რომ მიუმატოთ სულ ერთიანად შესდგება 1,825,000 კაცი. ამის ნახევარს საფრანგეთი სამი კვირის განმავლობაში აღვილად აამხედრებსო და საომრად გამოიყვანსო. გერმანია რომ ხელმეორედ მიესიოს საფრანგეთს, — ამბობს ივივე გაზეთი, — როგორც ორის წლის წინედ მიესია, ფრანციელთ აღარ მოუნდება ევროპის შველა, რადგანაც თვისის ღონითაც ძლიერნი არიანო. ამ

\*) დღესაცა აესტრიას ეკუთვნის.  
\*\*) აესტრიას ქვეყანაა.

ქამად შეუძლებელიდააო, რომ მტერი დაუსჯევად შევიდეს საფრანგეთში. თუ გერმანიამ ხელმოკრედ ისურვა საფრანგეთის აოხრება და მიწასთან გასწორება, საფრანგეთი წარბსაც არ შეიტოვსო და, თავის ძალაზედ დაწმუნებული, უზასუხებს: „ეხლა გვიანდააო“.

**მუზა ბოჭულაძე.**

რას მიეუბრებ აგრე გაკვირვებითა,  
 ნუ თუ სახე არ გინახავს მუშისა?  
 ძეგრდი ღია, ოფლით გასკვრილ, მტვრიანი,  
 ფერით რკინა, კისერ-ჩაქანგებული,  
 კაცი გულით დანაგრული ბედითა,  
 სიერმიდანვე სიღარიბით დევნილი,  
 ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჭქცევია  
 მოვინათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა!..

\*

ან რა გიკვირს? ჩემს შუბლზედა ღარები,  
 წვერ-ულვაში უდროდ გათეთრებული  
 ნიშანია გულში ღრმათა ტკივილთა,  
 დიდთა შრომათ, ღრმათ ფიქრებთა მწარეთა,  
 უიმედოდ, უნუგემოდ ეოფნისა!...  
 ჰსჩანს, არ იცი, რომ, არიან ღარიბნიც,  
 არის სადმე სიმწარითა ცხოვრება!..

\*

ნუ გიკვირს კი, ჰსჯობს ჩემს გულში ჩახედო,  
 წაიკითხი სიმწარისა ამბები:  
 მძის დალატი, მოყვასთაგან დაჩაგვრა,  
 მეგობრისგან იუდასი ამბორი,  
 საეუარლისგან \_ წვეული სიუვარული,  
 ნახის ხელით გულს დასძულნი დაღები!..  
 სოფლის გარე უწვალოდ განდევნილსა  
 დამავიწუდა რაცა ვიუავ ოდესმე!..  
 და აწ მხოლოდ დამძშთა ჩემს ბედად ესე:  
 ტანჯვით შრომა, ოფლით ძებნა ლუკმისა...  
 და მიდის დღე, მიდის დამე ამეოფით!

\*

ნუ მიეუბრებ ასე გამწარებულსა?  
 სიღარიბე მეტად ძნელი ეოფილა...  
 მე ვმუშაობ... სხვანი კი იმღერებენ,  
 ბედნიერნი, გულითა უზრუნველნი!..

ბადით მესმის ჭიანურის, ღვინის ხმა,  
 სავათნავას გულ-დამწველნი სიტყვები...  
 გულით მინდა მეც აქედამ ხმა მივჭსცე;  
 მაგრამ მრცხვენის: მე მათი რა ტოლი ვარ.  
 და ღრმად ვჰმალავ გულში სიმწარის ოხვრვას,  
 მალევით ვიწმენდ თვალში მორეულს წრემღსა...  
 ეჰ, ვის ესმის, თუ სადღაც მუშა ჰკენესის!..

\*

მამ ვინა ვარ, რა მჭკვიან ამ სოფელში,  
 თუ სიამის ერთი დღეც არ მახსოვდეს?  
 სიჭაბუკე ტანჯვით შრომამ წაიღო  
 და ვერ ვჰხედავ მომავალშიც ნუგეშსა,  
 მცირედს სხივსა სინარულის ნათლისას...  
 წვეულ იუოს, ვინცა მუშა აკურთხა,  
 მოკლებული ეოველგვარის შევებისა,  
 კაცთამორის კაცად არ მიჩნეული!..

\*

რას მიეუბრებ დაღონებულს, ფერმიხდილს?  
 მოვჭსუცდი და რა მაქვს მოსაგონებლად,  
 თუ არ ჩემივ ვაებითა ცხოვრება?  
 რა მიამა? რომ მოვჭკვდე, რა ვინანო?...  
 როგორც მოველ, ისე განვალ ამ სოფლით,  
 სიცოცხლისვე დროსა დავიწვებული!...  
 რათ ვიმობე, თუ ეს ბედი თან დამჭვეა?  
 ვინ ვადიდო, ვინ დავჭსწვევლო? არ ვიცი!  
 მაგრამ ჩემთვის დღე სიმწარით დამდება...  
 რათა? რისთვის? ვინ რა ვირი მოვწარე?...

\*

რათ მიეუბრებ აგრე გაოცებული?  
 ნუ თუ მართლა, კაციც არა გკონივარ,  
 რადგანაც ვარ სიღარიბის სამოსლით  
 არა მქონდეს კეთილისა გრძნობაცა!..  
 მაშა მღვდელი ლაზარაკს რომ დამიწვეებს,  
 ეურს რათ ვუგდებ გონება-მიზიდული?...  
 მის სიტყვები, ზოგჯერ თუმცა არ მესმის,  
 მაგრამ გულს კი უხარბან მათ სმენა!  
 სულს მიმაგრებს ძალი ნუგემ-ცემისა,  
 ზეციურის მადლით განათებული.  
 გულში ჰჭრება დეღვა სიბოროტისა....  
 ვჰგრძნობ სიმშვიდეს... ლოცვებებსა ვიკონებ...  
 მაგონდება დღენი ეძაწვილობისა,



ხმა დედისა, მისი ტკბილი ალერსი..  
 თვალ-წინ ვჰხედავ დიდსხანს დავიწეებულთა...  
 და აღარ ვჰსწევუვ ჩემს შობის დღეს, ჩემს ბედსა!..  
 მაშინ შრომაც დიდად მიაღვიღლება,  
 და მას ღამეს მძინავს ისე მშვიდობით,  
 თითქოს ჩემს ქონს დაჰფურინვენ ანგელოზნი!...

\*

განცხრომის ძვე, ნებიერად გაზდილო,  
 ეს ქვეყანა შენთვის არის შექმნილი!  
 ველთ სიმწვანე, ცის ლაგვარდი, მზის შუქი,  
 გაზაფხული სუნნელების ნიავეთ,  
 შენ გეტრფიან, გახარებენ, გატკბობენ!  
 შენთვის ჰბრწეინვენ თვით ღამაზნი თვალეზი;  
 ნაზი წელი რჩევით შენკენ რონინებს;  
 მიმოჰქრიან შენთვის ზღვაში ხომაღდნიც;  
 თვით მეც, მუშა, ჩემის ღონით, ოფლითა,  
 შენთვისა ვარ დაბადებით მსახურად:  
 კრძალვით გიმწერ, შორით მლოდე წეაღობის...  
 შენ ხარ მეფე... მე ძალღადაც არ მაგდება!..  
 რათა? რისთვის? ვის რა ვირი მოჰჰნარე?

\*

რადღა გითხრა, ნუ თუ ეხლაც ვერ მიჰხვდი,  
 რა ძნელია შოვნა ლუკმა-ჰურისა?  
 როგორ ახდენს სიღარიბე კაცის გულს  
 და აბნელებს სულის სხივსა, გონებას?...  
 ეჰ, ძმავე, წადი შენ-შენს გზაზე სიმღერით...  
 მე ჩემს ბარგსა როგორმე იქ მოვიხსნი...  
 სად მე და შენ ვიქმნებით თანა-სწორნი,  
 საუკუნოდ განსასვენსა ალაგსა!...

ქსნის ხვეული.

რ უ ს მ თ ი.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვა და სხვა  
 გუბერნატორებს წარუდგენიათ ცნობები შესახებ იმ  
 ხალხისა, რომელიც სრულებით უსაქმო თ დარჩა და  
 ამის გამოისობით ლუკმა ჰური გაუწედა, რადგანაც  
 ქარხნებს სამუშაო შემოჰკლებიათ. რაც შეეხება  
 ჰეტერბურღს და მის ახლო-მახლო ადგილებს,  
 ჩვენს გაზეთში მგონი კიდევ მოხსენებული იყო,  
 რომ უსაქმოდ დარჩენილთა რიცხვი 96 ათასამდე  
 აღის. კალიშის გუბერნიაში ათი ათასიღამ 800 მუშა  
 სრულებით უსაქმოდ დარჩენილა. ორი ათასამდე  
 შობის მხოლოდ მეოთხედს ნაწილს იმისას, რასაც  
 უწინ მოულოდდა, დანარჩენი კი ნახევარს.

გარდა ამისა იმათაც, ვისაც მუშაობა არ მოჰკლებია,  
 ჯაფის ფასი ფულათ კი არ ეძლევათ, არამედ საქონლით,  
 რომელსაც დიდის ზარალით ახადებენ.

ამას უნდა დაუმატოთ, რომ ქარხნების წარმოება  
 დღე და დღე კლებულობს და ბევრი ქარხანა სრულებით  
 უქმდება კიდევ, მაგალითებო: ჰოდოლის გუბერნიაში  
 ბოლოს დროს 16 შაქრის ქარხანა გაუქმებულა და  
 სხვა ათის გაუქმებასაც მოელოან.

რამეფელებათ ამ უბედურებს ამისთანა დროს, როდესაც  
 არაფერ იცის ხვალისდელი დღე რას მოასწავებს?

— უკანასკნელ დროს რუსეთში ერთი დიდად  
 სამწუხარო მოვლენა გახშირდა: წამ და უწუმი ისმის  
 ამა და ამ სასწავლებელში შევირდმა თავი მოიკლაო.  
 მაგალითებო, კიშენოვში შარშან სამმა შევირდმა  
 მოიკლა თავი და წრეულსაც ერთმა. სხვა ქალაქებშიაც  
 ბევრი ამისთანა სამწუხარო ამბავი მოხდა. ამ ქამად,  
 როგორც გაზეთი „Новое Время“ რუსულად  
 იწერება, ერთს რუსის ექიმს გამოუკვლევიო ეს  
 სამწუხარო მოვლენა, და შეუდგენია ამის თაობაზედ  
 წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ის დასკვნა  
 გამოჰქაავს, რომ ვითომც თავის მკვლელობის მიზეზი  
 თვითონ იმ გარემოებებში უნდა მოიძებნოსო,  
 რომელნიც ახვევიან ცხოვრების მომდინარეობასა.

თქმა აღარ უნდა, რომ ეს წერილი დიდის უურადლე-  
 ბის ღირსი იქმნება: თუ ზირ და ზირ არავითარს  
 წამალს არ დასდებს ამ სამწუხაროს მოვლენას, ამას  
 მაინც იქმს, რომ მთელს მის სურათს წარმოგვიდგენს.

— კიევის უნივერსიტეტში ცალკე სწავლა  
 დაუწყებიათ საკუთრივ ქალებისათვის. ეს სწავლა  
 ორ ნაწილათ არის გაყოფილი: ერთი — საისტორიო  
 და საფილოლოგიო მეცნიერებისათვის, მეორე —  
 საფიზიკო და სამათემატიკო მეცნიერებისათვის.  
 ზირველ განუოფილებას შეადგენენ შემდეგი  
 მეცნიერებანი: რუსული მწიგნობრობა, საყოველთაო  
 ისტორია, რუსეთის ისტორია, ჰედაგოგია და  
 ერთი რომელიმე ახალი ენა; მეორე განუოფილებას  
 შეადგენენ; მათემატიკა, ფიზიკა, კოსმოგრაფია,  
 ჰედაგოგია და ერთი რომელიმე ახალი ენა.

ამ უნივერსიტეტში კურს დასრულებულს ქალებს  
 მიეცემათ მოწმობა, რომლის ძალითაც იმათ უფრო  
 მეტი უფლება ექმნებათ შუათანა სასწავლებელში  
 მასწავლებლის თანამდებობა მიიღონ, ვიდრე  
 სხვაგან კურს დასრულებულ ქალებსა.

— „St. Peters burger Herold“-ში ჰსწერია:  
 ჯეროვანს ადგილას დაჯერებულნი არიანო, რომ  
 რუსეთში თამბაქოს ბანდეროლები ძალე მოიხზობა და  
 მის მაგივრად ბაჟი დაედება დაუჭრელს თამბაქოსაო.  
 უპირატესთა თამბაქოს სოფდაგართა ფინანსთა

მინისტრს არცა მიჰსცესო, რომელშიაც სხვათა შორის მოუხსენებიათ, რომ უბანდეროლოდ გასეიღვა სიგარისა და ზანროსისა მეტად განშირდაო და ამით ხაზინას შემოსავალი აკლდებოა.

– **Новое Время**-ში ჰსწერია: „ამას წინედ ერთმა გახეთმა წარმოჰსთქვა, რომ კერძო ვეჟილთა ნება მიეცემათ ნაფიც ვეჟილად (**Присяжные ровЪренные**) შეირიცხონ თავიო, თუ დადებულს წელთა რიცხვს კერძო ვეჟილობაში გაატარებენო და ამას გარდა გამოცდის შემდეგ ვეჟილობის ღირსად იცნობებიანო. ესლა ჩვენ შევიტყეთ, რომ ეგ ნება მიეცემათ მარტო იმისთანა კერძო-ვეჟილთა, რომელთაც რომელიმე შუათანა სასწავლებელი შეუსრულებიათ, ანუ რომელიმე, გამოცდის შემდეგ, დაამტკიცებენ, რომ შუათანა სასწავლებლის სრული სწავლა შეუძენიათ.

**პროვინციალური წერილები**

*წერილი ბრკელი*

**ქართლი. 1877 წ. მარტის 31-სა.**

არი ფელოსთეთისი აზრი გორზედ. – გორის ახალი ქალაქის სამხრეთუკლო. – ხმის-მეჟინნი – ვაჭრები. ბახაზები, ბაყლები, აქერელი ხაზაზები. – აქერელი ძელა. – ა. თუთაყვი.

ჩვენ გორზედ ბევრი რამ წერებულა რუსულ თუ ქართულ გახეთებში მისს გარეგანი შესედულობის უსუფთაობაზედ, ხალხის უხსეობაზედ და სხვ. მაგრამ მაინც და მაინც ეს ჩვენი ქალაქი უურს არ იბერტყავს, კიბოსავით მიიკაკვება გაუმჯობესობის გზისკენ. თუმცა გაუვალ ტალახებს ეოველ ქუჩებში, როგორც უწინ ვერ შევხვდებით; თუმცა თევზის საჭერი გუბეები, რომლებიც იმყოფებოდნენ ფოჩტის კანტონის ახლო, თითქმის დააშრეს, ბოგირებიც აქა-იქ გააკეთეს, მაგრამ ბევრი რამ აკლია ამ საცოდავ ქალაქს. სწორე გითხრათ, ეს თევზის საჭერი გუბეები რომ დააშრეს კი ვერაფერი მოუვიდათ. მერე წრეულს რა ნაირი ძვირი იყო ახალი თევზი? სწორედ დავნატრულდით! მაგრამ ერთით კი კარგი ჰქმნეს, რომ დააშრეს: წვიმის შემდეგ ალაგ-ალაგ დადგებოდა საშინელი გუბე, ქუჩებს შეჰკრავდა და ქვეითი კაცისთვის სწორეთ საფრთხე იყო. იღვა ეს გუბე, ახლიოდა ბრაზი სუნი, ხრო ბუხებისა დასტრიალებდა თავს. – ერთი ვიღაც სხვა მხრის კაცი ცნობის მოჟარებობისგამო გამოხულიყო ამ ჩვენის ქალაქის სანახავად იმ დროს, როდესაც ეს

განიხვენებდა ლაფ-გუბეებში, და დაათვალიერა რა ქალაქი, წარმოსთქვა შემდეგი აზრი: ღუნია მაძივლია და ამაზედ უსუფთავო ქალაქი, ამაზედ უთავდარიგო, თვით კმაყოფილი ხალხი, როგორც ღორიო, ჯერ არ მინახამსო. – სხვა მხრის კაცისა რა მოგახსენო, მართალია ეს თქმა თუ არა, მაგრამ მე მენსომს, ერთმა ფილოსოფოსმა, მგონი ღუნგელ ვეფლინგმა, ფილოლოგიურად გააზრია სიტყვა გორი და რაც კი შეეძლო ამტკიცებდა, რომ გორი წარმოსდგება სიტყვისაგან ღორი და არა გორი. აი დასწევულოს ღმერთმა! დავიჯერო იმ ფილოსოფოსს წინასწარ-მეტყველური ნიჭი ჰქონდა? აბა, გეთაყვანეთ, საიდგან სადაო, წმინდაო საბაო! რომ არ შეეფერება ეს სახელი!... ბევრში... ვსთქვათ, ცოტათი კი მიაგავს, მაგრამ განა სხვა ქალაქები არა ჰგვანან. ვის რას შეეგუოვებით! ეს კი ასრე, მაგრამ სირცხვილი იმ ორთავ ფილოსოფოსებს, ჩვენსა უფრო, რომ ასე მიწასთან გაგვასწორეს. აბა, ესლა მობრმანდნენ და გვანახონ როგორ გაგვჩაღნა, ბატკნებად გარდაგვაქცია ქალაქის სამმართველო.

მართლაც და სულზედ მოესწრო გორს ქალაქის სამმართველო და ძალიანაც მოუხდა ამ საცოდავს. ეოვლის ფერზედ თვალ-ურე უჭირავს. მოჩივრებს, მოსაქმეებს „ხვალე ხვალეს“ არ ეუბნება. მივა თუ არა მოქალაქე საქმისთვის იმ საათმივე გაუთევებენ საქმეს. მაღალ-მაღლობა არ იღებს: ვინც ტუის ტუის, „კანტონშილობა“ ვერ უშველის. ხმის-მეჟინათ არიან აღმორჩეულნი მამულ-ადგილის მქონე მოქალაქენი. მომეტებულმა ნაწილმა რუსული ენა არ იცის – „მოია ტუი“ ხომ რუსულში არ ჩაითვლება – და თუნდ ქართულ ენაზედაც ელაზარაკო, სულ ერთია. იმითთავში ზარბაზნის ტუვია ვერ შეატანს. ნეტავი ერთი დავანახვა თუ როგორ ჰირდალებულნი სხედან და მარტო არძინი და ნახევარ თუნგიანი უდგიათ თვალ-წინ. ერთმა მათგანმა სთქვა: რომ მობეზრდებიან, მოჰვევებიან თვემას, თავის ქნევას, თითქო ბუხები დახვევიანო. ვგონებ, რამდენი დაარტყამს თავს სტოლს, კედელს და კაზს დაისვამს. მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ესენიც გამოხადდენ არ ივენენ, მძვიდობაა, აკერ გაზაფხული დადვა, როგორც მოგეხსენებათ გაიღვიძებენ ღრმა ძილისაგან სხვა და სხვა მწერნი, ბუხები და სხვ. შესამდლებელია ქალაქის სამმართველოს ზალაშიაც ფუნს შესდგენ ეს მოუხვენარნი. ზოგიერთა ხმის-მეჟინმა ძილის და კაზის დასმის მაგიერ ეს წვეული ბუხები იჭირონ ხელით და ჰირით, ძალიან არ დაავალბენ სხვებს, ვინც საქმეს არიგებენ. უჰ, რა საქმე! რას ბძანებთ, უკეთესი აღარ შეიძლება!... ოჰ, ერთი ან მოთავე მქნა, ან, ეს ოხერი, წვერი მაინც.... ზოგი რა უბედურ ვარსკვლავზედ იბადება.... მაშინ მაგათ მებუხე ხმის-მეჟინათ არ დავხდით!? ზაფხულობით მაინც!

გორის სამმართველო ღირსია ქებისა იმ მხრივ მაინც, რომ აიზრია ზოგიერთნი წვერნი ისეთ

პირთაგან, რომელთაც ქალაქის ცხოვრებისა, მისი ვაჭრობისა, ჩვეულებისა არა გამოეპარებათ რა. ამ პირთაგანი არის შესანიშნავი თავისი მოქმედებით უფ. ა. თუთავეი, რომელსაც, როგორც დახელოვნებით მცოდნეს, ჩაბარეს ყოველის გვარის ვაჭრების წყაღმხელელობა.

ბევრგან შემთხვევითა წვრილმანი რამეს სეიდვა სხვათა ქალაქებში და თუ არ შემხვედრია, გამოგონია მაინც, ან წამიკითხავს, მაგრამ ასრე მამასისხლად, ასრე ცეცხლ მოკიდებით ორკეცად განსეიდვა საჭირო ნივთებისა არ შეიძლება, როგორც გორშია. ჯანი გავარდეს, ფანი მეტი აიღონ და ნულარ მოგვატყუებენ წონაში, საწვაში, ნივთის სიკარგეში. ისრე საშინლად ატყუებენ ეს ჩვენი ვაჭრები — სომხები წონაში, ბატონებო, საწვალ ხალხს, რომ შემდეგში ეს ბორტება რომ აღმოჩნდა, სწორედ ურებში თითს დასაცხობ საქმეს გვიძვრებოდნენ, მაგ: ამ ბოლო ქამს გავვიძვირდა ნავთი, გირვანქა შაურ-ნახევარი და ხან სამი შაური იყო; მეტი ჩარა არ იყო, უნდა გვეყიდნა, რადგან სამთელზედ კიდევ ის იაფად ჯდება. ამ ფულს ვინა სხივის, მაგრამ მაგარი ეს არის, რომ ნავთის გირვანქიან სარწვაოში ამოდენი ხანია გვატყუეს: მარტის თვეში რაღაც ჩემი საქმისთვის ჩავიარე დახურულ ბაზარში და ვნახე, რომ ნავთის სარწვაოებს ატყელეტინებს უფ. თუთავეი. თურმე ნუ იტყვიოთ, რამდენიმე მისხალი ნაკლებნი იყვნენ სარწვაოები და ერთი მეტად უღმერთოდ — თექვსმეტი მისხლით. საკვირველია აქამომდე ერთმა ვაღდებულმა პირმა არ მიაქცია ამ ცარცვა-ველეფას უური, თუმიცა, მე ვგონებ, ბევრმა იცოდა.

ესრედ გვატყუეს და გვცარცვეს იმ დროიდგან, საიდგანაც ნავთის წვა დაიწვეს აქ. ვინ იცის, იქნება საუკუნოდინ ვეტყუებინეთ ასრე ბაულებს და ბაზაზებს, რომ ქალაქის სამმართველოს არ მიექცია ურადლება და დროებითაც არის არ მოელო ბოლო ამ ბორტებისათვის. წემოხსენებულმა თუთავემა პირველად მიაქცია თვალი ვაჭრობას და, წემოხსენებულს გარდა, აღმოაჩინა სიბორტენი, რომელთაც ჩამოვთვლი (შესანიშნავებს მაინც), რადგანაც ცხადად დაგვიხატვენ ჩვენებურის მოვაჭრეების უხეობას, დაუნდობლობას, სიავაზაკეს.

ბაულები და ბაზაზები სასწვრის ტოტებად აქნამდინ ხმარობდნენ თასმას, თოკს და ეათანს: იმ გვერდზედ, საითაც უნდა დაწონონ მსეიდველს რამე, თასმებს ჰქონამდნენ, ასველებდნენ, ჰკიდებდნენ თვალ-უხეზად სხვა და სხვა ნივთებს—ვევლა ეს ამძიმებდა სასწვრის ერთ გვერდს და გირვანქაში რამდენიმე მისხალს აქაც იპარამდნენ. ეს თასმები სულ ერთიანად ჩამოუჭრა წემოხსენებულმა პირმა და ტოტებათ თითქმის ჯაჭვები

შეაბმევენა, თუმიცა აქაც შეიძლება თაღლითობა, მაგრამ ჯერ ერთი ეს, რომ ურადლება აქვთ მიქცეული და მეორეც ესა, რომ ჯაჭვს სომ ვეღარ დაალობენ. ამას გარდა საწონად ხმარობდნენ ქანვისაგან შეჭმულ, ეალბ გირვანქიანებს, რომელთაც რამდენიმე მისხალი აკლდათ. უკანასკნელი ათ ფუთამდინ შეაკრებიან და ახლებად შეაცვლევენ. — მამასისხლად განსეიდვა ერთის მხრივ, საწონში დალატი მეორეთი, ჯიბეს უსქელებს ჩვენ ვაჭარ სომხებს, ეელი ქონით ევსებათ, უდარდელი, მცონარე ცხოვრებისაგან იბღინებთან ჩვენის ხარჯით და ჩვენ კი ღამის გვერდებში სინათლე გაგვივიდეს.

ბატონებო, ამას ვილა მოიფიქრებდა თუ ჩვენი ღვიძლები, ქერთველები—იმერლები უარეს დღეს დაგვავენებდნენ. ვაჭრობაში განვეული იმერლები არამც თუ სომხებს და ურიას აჭარბებს, ჭირზედ უარესნი ეოფილან. ჯერ იმერული ძელა რა ეოფილა მერე ვაჭარი რა იყვეს. მე ვნახე ერთი იმერული ძელა სადღაც, ჰო, მგონი სახაბაზოში. დიანს, ვნახე, უკუდო, სწორედ ბოლო დაგლეჯილ კატკატსა ჰგვანდა. დაღახვროს ღმერთმა! იმის ნახვას ეწლაც ვინანი: სულ ერთიანად დაგვამწარა სიცოცხლე, ბატონებო! ამდენი ინდოურები დაგვიჭამა და კიდევ ვერ ვაძღა სისხლით... ერთი ჰა! მე ძალიან გავები... ჰო, იმას ვამბობდი რომ იმერლები ძალიან გვატყუებენ. საბაზებად სულ ისინი არიან, ასეთ ჰურს გვიცხობენ, რომ ურიას რომ დაარტუა, სამჯერ წმინდაო ღმერთოს ათქმევიანებს. როგორც არ მოგკლამ, კბილი არ დაედგმის, კბილი! წარმოიდგინეთ, ახლად ამოვლილ ალიან თონეზედ დაკრული ჰური როგორი იქნება. შხამია რაღა! ამათვისინ კი სარფაა. თონეს არ ახელებენ და ორ-სამ ხელს ამოჭერიან. არც ამათ შერხათ კუდის ქნევა, გაიძვერაობა: გაუგეს, მოუქექეს თავი, რომ მეოთხედ გირვანქისას აკლებდნენ ჰურსა. უ. თუთავემა ძალიან დააფრთხო ვევლა მოვაჭრენი. საბაზებს კი ძალე შეექოთ (იმერლის შიში სომ მოგეხსენებათ): დღეს და ხვალ კარვი ჰური სხანს სახაბაზოში.

სხვა მოვაჭრეებზედ რაღა მოგახსენოთ. სულ ჩამოვთავლოთ არა ღირს, ესეც საკმაოა. ამდენიც არ უნდა მეთქვას, მაგრამ ერთობ გავახსობდნენ. აი, მაინც გული არ მითმენს, რომ ორიოდე შხამიანი სიტუვა არ ვსთქვა ეასბეზედაც: ასეთ დუქიან ხორცს გამოჰკიდებენ გადაურებულის პირუტყვისას, რომ შეზარამს კაცსა. მკითხველო, გენსომება რომ ჰარიჟი შიმშილმა როდესაც შეაწუნა, ხალხმა გაუსვა ხელი ძაღლებს, კატებს, თავვეებს და სხვ. და მუსრი გააუღეს. რამდენჯერ ამის გაგონებაზედ წიხლით გადაგვიფურთხებია, და აბა თუ ჩვენის ეასბების



ხორცსუდ გააფურთხოს კი არა, ცოტათი შეიწინდოს ვინმემ, რომ ცუდია. ნეტავი ძაღლის და კატისა იყვეს და კარგი.

თუმცა უფ. თუთაყვი ძალიან ირჯება, რაც შეუძლიან ცდილობს, რომ ეველაფერი კარგი იუიღებოდეს ეველას სძულდება, მაგრამ — ვაი! — თუ გადაუხვიოს! შენი მტერი, თუ აბი ჩააუღანჯეს, მშვიდობით! ძველი საწრწეალები და სასწვრები ისევ დაბრუნდებიან. არა მკონია სულს გადაუდგეს თუთაყვი,—ეჰ, ამაშიაც უ მ ა გ რ ა მ ო თ ვერ მოვრჩი... ხ ე ლ ი ს ჭ უ ჭ ე ი, ეს ოხერი ვის არ დაარქვანებს!

წაკოლა—ც.

ახალგაზღა გლენის ნაამბობი

(სკენისათვის).

I.

ნათქომია: „თებერვალი ჰბერამსო, მარტი ტყავსა ჰკერამსო.“ —თებერვალმა საქონელი გამიწყვიტა და მარტმა ასეთი სირცხვილი მაჭამა, თავი არ მომიკვდება, რომ პირში ველარავისთვის შამიხედნია.. აი, როგორ გახლდათ ეს ამბავი.

ამ გაზაფხულზედ, რა კი დადგა მარტი. ჩვენს ბანზედ ასეთი კატების ჩხავილი შეიქნა. რომ კაცი გაშტერდებოდა... აი, დასწყევლოს ღმერთმა! ეიფიქრე, რა აჩხავლებთ მეთქი, ამ დასაქცევებსა?... ყურს ვუგდებ: დასდევენ ერთმანერთს და იყო ერთი ნგრევა, გრიალი და ზანზარი, ხან მალლა და ხან დერეფანში, იქ კიდენ, კასრისკენ, თუ ხოკრისკენ, არ ვიცი, შა-იქნა ისეთი ფხაკუნი, თითქოს ქვეყანაზედ რაც თავგია, ყველა ჩვენ დაგვესია მეთქი!... მაგრამ... მაგარი ეს არის რომა, ვფიქრობ, თუ თავგები ბუდრუგანაობენ მეთქი, ამ ოხერი კატებისა მაინც რატომ აღარ ერიდებათ მეთქი და ან, ამ გასაწყვეტებს, რა აჩხავლებსთ მეთქი?...

ეჰ!.. გაიარა ამ ამბავმაც, გავუძელით როგორც იყო... გავიდა ერთი კვირა, ორი, ერთი თვე, ორი თვე, სამი... რას მოვიფიქრებდი, თუ აქ სხვა ამბავი იყო რამე?... რაღა გავაგრძელო,— გაგიგებლდეთ სიცოცხლე — თქვენს მტერსა დღუმანს, ჩვენ რომ გამოგვაჩნდა!... ნეტავი ისევ სახადი გამოგვიჩნდა!.. აკი ჩვენი გოგო, თამრო, თავმძიმე გამოდგა ი დასაქცევი!.. რა ეშმაკი გააბრიყვა, ეხლაც არ ვიცი გამჩენის მადლმა!...

ასე სახიფათო კი ყოფილა მარტში კატების ჩხავილი და თავგების ფხაკუნი!... აი, დალახვრათ ღმერთმა!..

მისივე ნაამბობი

(სკენისათვის.)

II.

... ქვედანმოვდიოდი. ჩვენი ჭრელი მოზვერი დავკარგე და ი ოხერს დავეძებდი. ამოვიარე წყაროსკენ და შევხედე, ასეთი ლამაზი დოდონა კი გაჩერებულა იქა, როგოც ჯეირნის ნუკრი!.. მხარზედ კოკა გაუღვია და დგას. მე რომ, დამინახა, ზურგი შამომამქცია.. აი, გამიწყრა ღმერთი!.. გაუარე გვერდით, განგებ ერთი წავებახუნე და ვკითხე: ჩვენი მოზვერა ხომ არ გინახამს მეთქი.. შაფხუკიანდა იმერელივით ჩემი ქალბატონი და შამომძიხხა: თვალი შენც დაგიდგებაო და შენსა მოზვერსაცაო!“ „თავი მოვიკატუნე და უთხარ სიყვარულიანათ: შენ კი გეთაყვანე, მაგ შავ თვალეში, მეთქი!.. ამ დროს დადგა გოგომ კოკა ძირსა, წამოავლო ქვას ხელი და შამომძიხხა: „მეხი კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზედაო!... იქით გამეცალეო, თორემ ასეთ ქვასა გდრუხამო, რომ შენცა სთქვა, რა დამემართაო!...“ დავანებე თავი და წამოველ... აბა, რაღას ვიქმოდო?... მასუკან შავადექ ი დასაქცევს: აი დღეს, აი ხვალ. ბევრი ველრიჭე, მაგრამ, არ იქნა, პირჯვარი ვერ გადავაწერინე... ბოლოს შევუყენე მოციქულები იმის დედამას და როგორც იყო, პირი ძლივს გაქნენ ჩემკენ... ნათქომია: „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო...“ მეც ერთი ხარი სასიამამროს მივართვი, ერთი თავშალი—სასიდეროს და ერთი წყვილი წულებიც ჩემ შავთვალას...

ახლა ქორწილი მაქვს ხვალა და ესე ყელ-გამოწევით გეხვეწებით, გამაბედნიერეთ, თითო ყანწი ღვინო დამილიეთ და დაგვლოცეთ მე და ჩემი დოდონა!.. საწყლის პური გემრიელია.—

თ. რაფიელ ერისთავი

1 აპრილს 1877 წელს.

ჩვენის ისტორიისათვის მასალა.

(შემაჯობი) \*)

გარნა გრიგორი არა განქორბა ოდიშსა და იმყოფებოდა ხან ხორგას, ხან ხეთას, ხან ჭაქვიჯს, ხან ნოდას, ვინაიდან მოურავნი თუ ბატონნი ამა სოფელთან იერთეულბდენ გრიგორის, და ოდეს წარვიდოდა მეფე სპითა თვისითა იმერეთად, კვალად დაიპურობდა გრიგორი დადიანობასა, და

\*) დასაწყისი № 5-შია.

ოდეს მოვიდოდა მეფე სპითა თვისითა ოდიშად, მისცემდა მანუხარს დადიანობასა. და ვინაღვან გრიგორი ვერ განსდევნა მეფემან სამფლობელოთ თვისით და ვერ აღასრულა სანადი თვისი, ამისთვის განძვინდა და აქცევდა ოდიშსა ეოველ წელ და აოხრებდა სპითა იმერელ ლეკითა და სტევენვიდა მრავალსა ქრისტიანთა ტყვეთა, სწვიდა და აოხრებდა ოდიშსა, და მისცა ოდიში დიდსა მწუხარებასა, სადა ურწმუნოთა ლეკთა მრავალნი ეკლეესია შებლანეს და მრავალნი გლახანი საცინელად და სახასრობელად მართმადიდებლობისა სჯულისათვის მოჰკლეს. განაგრძო ესე ვითარი მოქმედება მეფემან სოლომონ, შეიკრიბა სპანი თვისნი, იწინამძღვარა მანუხარ დადიანის ძე და მოადგა ლეჩხუმს ჭკვიით. მიდრკენ მრავალნი მანუხარისაკენ ლეჩხუმელი, ვერღა დაუდგა წინ გრიგორი, ვინაღვან ლეჩხუმელთ მრავალთ უდალატეს და უფრორე ბააკა ჩიქოანმა, რომელი იყო ქამსა მას ლეჩხუმსა შინა შემძლე კაცი და შემოვიდა მეფე ლეჩხუმს და აოხრებდა.

ხოლო გრიგორი იდგა მურს, იწყო ზრახვად მეფისადმი გრიგორიმ, უკეთუ მანუხარს დაიტოვებ და წარწვალ თქვენ უკუნეუ, რასაცა მეტვეი მოცე შენ. სთხოვა მეფემან უკეთუ მომცემ ციხესა ჭკვიშირსა და შემდგომსა მისსა, მე დაუტევებ მანუხარს ეოვლად შეუწევნელად. აღუთქვა გრიგორიმ თხოვილი თვისი მეფესა, და ვინათვან დიდი სურვილი იყო მეფისა დაწერობა ლეჩხუმისა, და ჭკვიშის მოწინასთვის არა მიხედა ფიცის უარის-ეოფასა, და არცა სირცხვილისა, დაუტევა მანუხარ დეხვირს და თვით წარვიდა და დაებაგრა საეიფიანოსა შინა რაჭას.

იხილა რა მანუხარმან თავი თვისი უარ-ეოფილი მეფისაგან, ვერას ღონის-მპოებელი ივლტოდან და შევიდა ციხესა შინა ორბელს, ვინათვან ციხე იგი იყო სამოურაო ბააკა ჩიქოანისა, ხოლო გრიგორი გამოვიდა მურიდამ და დაიპურა ეოველი ლეჩხუმი. იცნა რა მანუხარმან ვიდრე მეფესა არასწადს არა რომლისამე მეთა დადიანისათა კეთილი, ამისთვის მოვიდა გრიგორისათანა მძისა თვისისა და შეურდა და სთხოვა მიტევა თვისის უწინდელის წინა-ადმდგომობისა, ხოლო გრიგორიმ სულ-გრძელეებითა და სინარულითა მიუტევა მას და ქმნეს მძათა შორის დიდი შეკრულება, და ვინათვან მძანი ესე შეერთდენ არღა მისცა გრიგორიმ მეფესა ჭკვიში და დაპირება არღა აღუსრულა. ამისთვის უკმოიქცა მეფე და მოადგა გარს ჭკვიშის ციხესა და რაოდენისამე ქამისა სუსტთა და უსირცხვილოთა მეცინოანეთა მისცეს ჭკვიში მეფესა და აღიღეს ჭკვიში, და შემდგომად წარმოემართა მეფე დასაწერობელათ სრულიად ლეჩხუმისა და დაებაგრა ლაილამს. აქეთ გრიგორიმ შეიკრიბნა ლეჩხუმნი

მხოლოდ და დასდგა ურწელოს. დღისა რაოდენისამე შემდგომად იქმნა ბრძოლა უსახელოს, თუძცა სახელოვნად ბრძოდენ ლეჩხუმელი, გარნა სძლო სიმრავლემან სიმცირესა და ივლტოდენ გრიგორისნი, და გაემარჯვა მეფესა, მოადგა ციხესა დეხვირისასა სადა მეცინოანემან დეხვირისამან ბეჟან ერუაშვილმან სახელოვნად და საქებელად განამაგრა ციხედეხვირისა, იბრძოლა მამაცად, მოჰკლნა მრავალნი იმერელი და ლეკნი გარე მოდგომილნი. და შემდგომად შესთხარეს ციხე და ნახევარი ციხისა გარდმოიქცა, და რა სცნა ბეჟან ერუაშვილმა არღა შესადმებელ არს ციხესა ამას შინა ეოფნა, ამისთვის იმამცა გული და გამოვიდა ღამით თვისის ხელქვეშეთის კაცით, გამოვლო გარე შემოდგარნი იმერნი და ლეკნი და მშვიდობით მოვიდა მურს გრიგოლ დადიანთან.

მცნობი ამისი ვერღა დასდგა გრიგოლი ლეჩხუმს და წარვიდა ოდიშად და დაიპურა მეფემ ლეჩხუმი და დაადგინა ლეჩხუმის მოურავად ბერი ქაიხოსროს ძე გელოანი და თვით წარვიდა იმერეთად. ქამსა ამას შეიძურვენ ურთი-ერთისა შორის ახალ-ციხის ფაშანი შერიფ ფაშა, და ზაბუთ ფაშა და გარდმოავლო ზაბუთ ფაშა მეჰრიფ ფაშამ, და ვერა სადა ღონის მპოებელი მოვიდა იმერეთის მეფის სოლომონისათანა, ვინათვან იყო გვარით ძველი ათაბაკისა შთამომავლობა, ამისთვის მოვიდა ბაგრატიონისა თანა და იმეოფებოდა მეფისაგან იმედუელი. მაშინ შერიფ ფაშამან დაიწყო ზრახვა მეფის ვეწირებთა თანა და აღუთქვათ მრავალი თეთრი უკეთუ მოჰკლან ზაბით ფაშა. ვეწირნი მეფისანი ბირებულნი თეთრისაგან შეკრბენ მეფისა წინაშე და სხვა და სხვა საქმისა მხვენებელთ შეაცთუნეს მეფე და მოაკვლევინეს ზაბით ფაშა, მოსჭრეს თავი და წარუგ ზავნეს შერიფ ფაშას, შემდგომად რაოდენისამე ხანისა წარუგ ზავნეს მეფის ვაწირთ კაცი და სთხოვეს შერიფ ფაშასა დანაპირები თეთრი მეფისადმი და მათდაცა, გარნა მან არცა ერთი უფლი წარმოგ ზავნა და მოაცთუნა შერიფ ფაშამ მეფე და ვაწირნი მისნი და დაძთენ განხასრეაულნი შერიფ ფაშისაგან.

აწ კვალად გრიგოლისას ვიტყოდეთ, გრიგოლი რა შთავიდა ოდიშს სთხოვა შეწვენა ქელაიმ-აჰმედ-ბეგსა შარვანშიმესა, რომელსა ეპერა ეოველი აფხაზეთი ვიდრე ღაღამიკამდე და მძლავრებდაცა დადიანის სამფლობელო სამურწაყანო აფხაზეთსა. ხოლო მან სთხოვა უპირმშოქსი შვილი თვისი ლეონ მძველად, უკეთუ შეეწიოს მეფესა ზედა მისცეს მან მრავალი თეთრი, და წარუგ ზავნა დადიანმან ძე თვისი ლეონ მძველად.

მაშინ შეიკრიბა ქელაიმ-აჰმედ ბეგმან ეოველი აფხაზეთი და წარმოვიდა, მოვიდა და დაებაგრა აბედათს, იქით მოვიდა მეფე სპითა იმერთა და ლეკთათა

და დაეხანაკა ივანდიდს. დაიწეს წინაზვად მეფემან და ქელაიშ-აჰმედ-ბეგმან და ვერა შემართა ქელაიშ-აჰმედ-ბეგმან ბრძოლად მეფისა, და სთხოვა რათა არა აზნოს დადიანსა, აღუთქვა მეფემან ფიცით არა ვნებად დადიანისა და წარვიდა ქელაიშ-აჰმედ-ბეგი კვალად აფხაზეთად. გარნა მეფემან არა დაიცვა აღთქმული ქელაიშ-აჰმედ-ბეგისადმი და შემდგომად წარსვლისა მისისა გამოვიდა ოდიშს და მრავალნი ადგილებნი მოაოხრა და მოადგა ციხესა თამაკონისასა, და აღიღო იგი, და შემდგომად მოადგა გორდის ციხესა, გარნა იგი ვერ აღიღო ვინადგან მამაცად ბრძოდენ მამინა მეოფნი მეციხოვნენი სამნი ძმანი სახლთ-უხუცის ძენი დავით, მიქელ და ოტია ჩიქვანნი და წარვიდა მეფე იმერეთად. თუძცა მრავალ გზის ევედრა გრიგოლი დადიანი მეფესა რათა დააცხროს მასზედა ესე ვითარი მოქმედება და მოიხსენოს უწინდელი მსახურება მისი და რაიცა სთხოოს აღუსრულოს მას, გარნა არა იხმინა მეფემან და უმეტეს შესძინა დევნა გრიგორისა, ვინათგან თან გამწრანნი მეფისანი და ვაზირნი მისნი ქაიხოსრო ზაზუნას ძე წერეთელი, ორნი ძმანი წულუკიძენი ოტია, და სენია, და როსტომ ნიქარაძე ესრეთ ურჩევდენ მეფესა და ეტეოდენ გრიგორის არ შეწყნარებასა.

ხოლო მეფე თქმულთა მათთა ვერ წინააღმდეგებოდა, გარნა გრიგორი ვერ განდევნეს სამფლობელოთ თვისით. მაშინ გრიგორიმ ვერა რაისა საქმისა მშოვნელმან, განიზრანა რათა მისცეს თავი თვისი როსიის იმპერატორსა და დაიფაროს მტერთაგან. მაშინ იყო საქართველოსა შინა მთავარ-მართებლად ალექსანდრე ჰირველის როსიის იმპერატორისაგან დადგენილად, თავადი ზავლე დიმიტრიხი ციციანოვი დენერალ ონტინ ფანტერი. და ვინათგან იმერეთით ვერ იმოვნა გზა დადიანმა რათა წარგზავნოს კაცი საქართველოდ, მაშინ ნოღას ციხიდან განმხადა კარისა თვისისა მღვდელი სიმონ ასათიანი, და აზნაური გიორგი გუგუშვილი, და წარგზავნა ასნის მთით და ჩავიდენ ლენტეხს და ლენტეხიდან ჩოლულს, და ჩოლულიდან წარუძღვა გარდაფხაძე გიგო, რომელი დიდათ ერთგულებდა გრიგორ დადიანსა, გარდავლეს კავკასი, და ოსეთი და მთავიდენ მოსდოქს, ხოლო მუნით მოქცეულნი მოვიდენ ტფილისს კნიაზ ციციანოვთან. სთხოვა გრიგორი დადიანმა რათა შუამდევრობითა მისითა განუღოს კარი მოწყალეებისა და მიიღოს საფარველსა შინა თვისსა დიდმან როსიის იმპერატორმან და დაიფაროს მტერთაგან. შეიწყნარა თავადმან ციციანოვმან ელხინცა და თხოვაცა გრიგორი დადიანისა, და მიიღო ხელმწიფე იმპერატორმან საფარველსა შინა თვისსა, და წარმოუგზავნა კავალერი წმინდისა ალექსანდრე ნევსკისა, ხელითა ზოლკოვნიკის მაინოვისათა ახალ-ციხით, ვინათგან

იმერეთით მეფე არა მისცემდა გზასა. მოვიდა ზოლკოვნიკი მაინოვი ჭალადიდს ფოთით და მოუტანა კავალერი, და ამისთვის დიდად მხიარულ ქმნილმან დადიანმან დიდის სახუქრით კვალად განუტევა ზოლკოვნიკი მაინოვი. ამით გაძლიერებულმან დადიანმან იწყო საქმედ ლენხუმის მოურავს ბერი გელთან, რათა ქმნას ერთგულება მისი და დაუტევოს ერთგულება მეფისა. მიიღო ბრძანება დადიანისა გრიგორისა ბერმან გელთან, დაუტოვა ერთგულება მეფისა და იქნა ერთგულ დადიანისა გრიგორისა, ვინათგან შემკვიდრობით იყო ემა დადიანისა გრიგორისა, და სახლი გელთანა ამაღლებულ-იყო კაცია დადიანისაგან. ამისთვის მიუწოდა დადიანს ლენხუმს, წარვიდა დადიანი ნოღიდან და მივიდა თამაკონს და მოსცა თამაკონი ჯოლორია დგებუაძემ, წარვიდა მუნით და შევიდა ლენხუმს და მოეგება ბერი გელთან და სრულიად ლენხუმი, გარდა ჭევიშისა, და ჭევიში დაშთა ხელთა შინა მეფისათა. ლენხუმით წარმოვიდა და შემოიძტკიცა სრულიად ოდიში და დაიპირა ყოველი სამთავრო მენგრელებისა მშვიდობით ქაშსა ამას წარმოავლინა თავადმა ციციანოვმა უფალი სტაცკი სოვეტნიკი ჰეტრე მაქსიმოვიხი ლითვინოვი, და მათთა მაიორი იხოთ და როტა ერთი მხედრობა, და აუწვა გრიგორი დადიანსა რომელ მოვალს ეირიმით მხედრობა დამცველი მუნი და უხვევით ამათ ლიძენა გამოასახლველი მათ მხედრობათა შავის ზღვის ჰირსა. და მოვიდენ რა დადიანისა თანა, თვით წარუძღვა დადიანი და მთაიკვა მხედრობა ეულევს, და უხვენა ლიძენა სობის-წელისა ჰირსა და მუნ დაახანაკა რუსნი, და ვინათგან ჯერეთ ხელ-მეუწევნელნი ივენენ რუსნი, ამისთვის მისცა წარბაზანნი და სხვა და სხვა საჭირონი სახმარნი, საჭმელ სასმელნი, შამოავლო ირგვლივ სიმაგრე და ესრეთ დაუტევა მუნ და თვით წარმოვიდა, გამოვლო ოდიში და შევიდა ლენხუმს სასახლესა შინა თვისსა მურს. გარნა აღმოევა ზღვის ჰირიდან ციკებ-ცხელება და შეიქმნა ავით და შემდგომად მოჯობინებისა და უკეთ-ყოფნისა, კვალად შეიქმნა უძღურათ და გარდაიცვალა წელს ქრისტესით, 1804 ოკტომბრის 23 და დაფლეს ცაგერს (იტევინ გრიგორისათვის სასწალითა სიკვდილსა). მაშინ დაშთა სამთავრო სამენგრელო უმეკვიდროდ, ვინათგან ძე გრიგორისა ჰირმყო ლეონ ჰევიან და ქელაიშ-აჰმედ-ბეგსა, და ამისთვის იწესა მამთა დადიანისათა განზრანად და დაპრობად მთავრობისა, განა ერთგულთა გრიგორისათა არა ინებესთ და უხვევენს ერთგულება მეუღლესსა მისსა საქართველოს მეფის ასულს დედოფალს ნინას, და ამით ვერდა ეუფლენენ ნებასა მათსა ძმანი დადიანისანი. მაშინ მოვიდენ მღვით მხედრობა რუსთა ეულევს, რომლისამხედართ



მძღვანათ იყო ღენერალ მაიორი და კავალერი იონ იონივიჩი რიკხოფი. და რა ესმათ ერთგულთა გრიგოლისთა მძასა გრიგოლისასა ჭკონდიდელ მიტროპოლიტს ბესარიონს, თავადს მხეიძეს ზეტრეს და თავადს ჯაიანს ქაიხოსროს, თავადს სახლთ-უხუცეს ჩიქოანს გიორგის, და მეცა მათთანა ვიუავ. მიუგებენით სიხარულით და აღმოუტანეთ ეოველნი ტვირთნი მათნი და წარმოუძევით მხედრობასა და ზოლოკონიკი ტარასოვი და რამოდენიმე მხედრობა დავაბანაკეთ ხუნწს, ხოლო იანარალი და სრული მხედრობა დასდგენ ხონს. მაშინ შეიზრახნენ დედოფალი ნინა და ერთგულნი მისნი და მათთანა ღენერალ მაიორი რიკხოფი, დეისტვიტელნი სტაცელი სოვეტნიკი ლიტვიჩოვი, რათა წარგზავნონ დეპუტატნი მისის იმპერატორების დიდებულების როსის ხელწიფისის წინაშე, და ვინათგან არ დასცალდა გრიგოლ დადიანსა, ნაცვლად მისა მოახსენოს მეუღლემან და ქვეყანამანცა მადლობა საფარველის დადებისათვის, და აცწა ითხოვონ რაიცა საჭირო არს მათთვის. მაშინ ღენერალისა და დესტვიტელნის სტაცეის სოვეტნიკის ლიტვიჩოვისა თანხმობითა, აღმოარჩიეს დეპუტატათ, ზირველად თვით მე, შემდგომ ჩემსა ბეჟან მანუხარის მე დადიანოვი, და კარის დეკანოზი იოანე სიმეონის მე იოსელიანი. თუძცალა მაშინ შესაშინებელ-იყო რუსეთათ წასვლა, ვინათგან უწინარეს ჩემსა არა ვინ ეოფილ-იყო ჩვენისა სამთავროისა კაცი რუსეთად, გარნა უმნურვალესისა ერთგულებისა გამო არა ვრიდეთ თავსა ჩვენსა და არცა მივხედეთ ცრემლთა მახლობელისა ჩვენისათა და წარვედით.

ხოლო შემდგომად წარსლვისა ჩვენისა ნინა დედოფალმან და შეკრებულთა ერთგულთა, წარგზავნეს კაცი ქელაიმ-აჰმედ-ბეგთა-თანა და სთხოვეს ლეონ მე გრიგოლისა, გარნა მან თეთრისა ანგარების-მოყვარემან ითხოვა მრავალი თეთრი და არა წარმოგზავნა ლეონ. მცნობელმან ამისმან თავადმა კნიაზ ციციანოვმან განრისხებულმან, უბრძანა ღენერალს რიკხოფს რათა წარვიდეს თვისითა რწმუნებულთა მხედრობითა აუეს და შემუსროს, რათა არა დამთეს ქვა ქვასა ზედა რომელ არა დაიძღვეს, და გამოიყვანოს ლეონ და ქმნას თვისსა სამკვიდროსა ზედა მთავრად. წარვიდა რიკხოფი თვისითა მხედრობითა და მისთანა სზანი ოდიშ ლეჩხუმისანი და მივიდა ანაკლიას ციხესა ზედა, რომელი მას ქამსა მძღვარებით ეწერა ქელაიმ-აჰმედ-ბეგსა და იყო გამაგრებულ დიდითა მომხადებულებითა. და რა მივიდენ მეორეს დღეს შეუტყეს მხედრობათა და ეგრეთვე ჩვენთაცა და სამსა საათსა ზედა აღიღეს იგი. ამის სმენითა შიშით-შეპერობილმან ქელაიმ-აჰმედ-ბეგმან მსწრაფლად წარმოავლინა ლეონ გრიგოლის მე, და მოიყვანეს

ანაკლიას, და მუნით წარმოიყვანეს და მოვიდენ მხედრობაცა და სხვანიცა ზუგდიდს, მიულოცეს მთავრობა ლეონს და მიათვალეს ეოველი სამთავრო სამეგრელოისა სახლვრითი სახლვრამდე. და შემდგომად ღენერალი რიკხოფი თვისის მხედრობითა კვალად წარვიდა ბანაკსა თვისსა ხონს, და შემდგომად მცირისა ხანისა მივიდა ქუთათის და მუნ დაებანაკა. გარნა მეფე იმერეთისა არა მივიდოდა ქუთათის და არცა ნახევდა მხედრობასა და იმეოფებოდა ზამთარ ვარციხეს, ხოლო ზაფხულ ოკრიბას და გოგს.

(შეძვეო უხეზა).

**გ ა ზ ე თ ე ბ ი ლ ა მ ა მ ო კ რ ე ფ ი ლ ი ა მ ბ ე ბ ი**

— „Финансовое обозрѣние“—ში № 58 ჰსწერია: „ამ დღეებში კავკასიიდან მოვიდა ჰეტეროურგს ინგლისის ტენსოლოლი ჟ. გარტი. ეს ჟ. გარტი წარმოგზავნილ-იყო ინგლისის ფულიან კაცთავან, დაეთვალვირებინა ნივთის მოძცეში ადვილნი, გაეგო მათი ვითარება, და როგორმე იჯარით აელო კავკასიაში ის ადვილები, საცა ნავთი ამოდის.

— ეველამ კარგად იცის, რომ ომისათვის ორი რამ არის საჭირო: ერთი — ხელი და მეორე ფული. ეს მეორე თუ ზირველზედ უფრო საჭირო არ არის, არცკი ნაკლებია. ამიტომ მეტი არ იქნება წარმოუდგინოთ მკითხველს ფულით შეძლება თვითვეულის ეგროზიის უზირატესის სახელმწიფოსი:

- შემოსავალი, — გასავალი
- ინგლისისა — 77,131,698 — 80,871,773 —\*)
- საფრანგეთისა 103,001,140 — 102,800,016.
- ავსტრია — — 37,270,234 — 40,317,054.
- ვენგრიისა — 20,700,000 — 22,300,000.
- იტალიისა — 53,776,564 — 63,019,484 (1876 წ.)
- გერმანიისა — 23,432,699 — 23,722,919.

— ზარიქში 1-ს აპრილს გამოვიდა ერთიუცნაური გაზეთი, რომელმაც აუარებელი მუშტარი მოიზოვა. რაც დაბეჭდილი იყო, ხუთის წუთის განმავლობაში სულ გაიედა თურმე. იმ გაზეთისათვის სახელად დაურქმევიათ „საიქიო“ და შექმნილა „საუკუნოში გარდასრულთა“ ორგანოდ. იგი იყო დაბეჭდილი მავს ქალადღზედ თეთრის ასოებითა. რედაქცია იმეოფებო, ჰსწერია იმ გაზეთის სათაურში, სტიქის ზირზედ №13, ხელის-მოწერა მიიღებო ზარიქის აკლდამებში. სათაურში გამოხატულია კაცის ქალა და ძვლები.

\*) ნანგარშინია ინგლისის ფულზედ, რომელსაც ჰქვიან გორკანქა სტენლინგი და რომელიც რუსის შედს მანეთს უდო ზისი „Биржевые Вѣдомости“ №88.

წელიწადი ნახევრებია 3753. რედაქცია ერთს წერილში ეუბნება საზოგადოებას: ნურავინ ნუ იტყვი, რომ ჩვენი გაზეთი ვითომ საჭირო არ იყოს. ჩვენ ამის თქმის ნებას არავის არ მივსცემთ. ადამიანები ეოველ დღე იხოცებიან, ჰსტოვებენ ქონებასა, შეძლებასა, რომელთაცა ხარბი შემკვიდრე-ნათესავნი კლანჭს ჩაავლებენ ხოლმე მარტო იმისთვის, რომ მეორე დღესვე დაივიწყონ კარდაცვალებულნი. ადამიანები იმოდენად ფიქრობენ თავიანთ განსვენებულს ნათესავებსვედ, რამოდენადც შარშანდელს თოვლზედ და ამის შემდეგ ჰბედავენ კიდევ თქმას, რომ „საიქიო“ ჩვენთვის საჭირო არ არისო! არა, ბატონებო, საჭიროა და ძალიანაც საჭიროა იმისათვის, რომ ზოგიერთს ქმარს ზოგიერთი რამ წააუვედროს, ლამაზი ცოლები ცოტა ოდნად შააფუცნუნოს და ზოგიერთს სიღვრეს მოაგონოს სიმეები.“ ეოველი გვარი წერილი ხუმრობით არის სავსე თურმე ამ უცნაურს გაზეთში და ზოგან ბევრი რამ სასაცილოა და საოხუნჯო.

– იტალიის გაზეთებში აწერილია ერთი დაუჯერებელი ამბავი, რომელმაც შეამჩნუნა თურმე და თავხარი დაჰსცა მთელის კაპუის მცხოვრებთა. ერთს იქაურს სასწავლებელში მოთავეთა შორის ეოფილა ერთი მღვდელიცა, რომელსაც მართებულ და რიგთან კაცად იცნობდნენ ეველანი. იმ ოთანში, საცა ემაწვილები მოგროვდებოდნენ ხოლმე, ჰკიდებია გალია, რომელშიაც მჯდარა ჩიტი, მეტად საუვარელი მღვდლისა. ერთხელ მღვდელი სადღაც წასულიყო რამდენიმე დღით და ემაწვილებს ეთამაშნათ იმ გალიის ახლო-მანლო. გალიისკარი უცნად გაიღო თურმე, ჩიტი გამოფრინდა და წავიდა. როცა მღვდელი დაბრუნებულიყო, მოეთხოვნა ემაწვილებისათვის რომ დამხამავე დაესახელებინათ, ემაწვილებს ეჩვენებინათ ერთის ეახსის თორმეტის წლის ბავშვზედ. მღვდელი მიჰბრუნებოდა ბავშვს და მშვიდობიანად ეთქვა: „დაიხოქე. შენ დღეს შინ სადილად არ წახვალ“. სადილობის დროს ემაწვილები დაიშალნენ და თავ – თავისად, ჩვეულებისამებრ, წავიდნენ. გზაზედ შეველოთ და ეახსისათვის და მის ცოლისათვის ეთქვათ, რომ შვილს ნუ მოუცდიან სადილად, რადგანაც მღვდელმა უსადილოდ დააგლო და არ გამოუშვაო. მღვდელი და დასჯილი ბავშვი

ორნი დაჩნენ თურმე სასწავლებელში. ერთს საათს შემდეგ დასჯილის ბავშვის მშობელი წასულიყვნენ სასწავლებელში, რომ შვილი ენატყვიბინათ. დაანაკუნეს ერთხელ, კარი არავინ გაუღო, მეორედაც – ხმა არავინ გასცა. მესამედაც – მაინც კართან არავინ მოადგა. ბოლოს ეახსამა რომ ვერა ქნარა, მიაწვა კარს, გააღო და ისე შვილი თავისის ცოლით ოთანში. თვალთ წარმოუდგათ საშინელი, შემხარავი სანახაობა: მათი შვილი განცმული იყო სტოლზედ, ხელები ლურსმით ჰქონდა დაკრული და ფეხები მოჭრილი, რადგანაც სტოლს გრძლად მოსვლოდნენ. ერთი სახაროდ შეჰკიულეს თურმე საწველებმა. მაგრამ მწუნარებას ეახსისას ძალე დაუთმო ადგილი გააფთრებისათვის. იხმო შვილის მკვლეელი, მაგრამ ვინ გამოუჩნდებოდა. მამინ გაფეთებით დაიწყო მებნა მკვლელისა და ბოლოს ნახა, რომ ერთს ოთანის კუთხეში მიძალუელიყო მღვდელი. დაინახა ეახსამა იგი თუ არა, მუის ამოძრო სარტყელიდამ სეფსბო დანა და ჩაჰსცა გულში ამ ბოროტს-მოქმედსა და ავახაკსა.

– ერთს რუსის გაზეთში „Новость“ ჰსწერია, რომ ვითომც რუსის ვაჭრებსა აულიათ ნარდი იარაღისა და ტანსაცმელის მისაწიდად სწარსეთის მხედრობისათვის და ამისგამო ცეცხლის გემები ბაქოდამ სწარსეთში წასასვლელად აჩქარებით იტვირთებიანო.

ი ს ე ი დ ე ბ ა :

ქალაქს, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მალაზიებსა და „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.  
 გორს, ფარნაოზ ნათიევისას.  
 ახალციხეს, ალექსეევ-მესხიევისას (მიროვო-პოსრედნიკი)  
**ლიქსნი** თქმულნი **თ. 6. ბარათაზვილისაბან**  
 ფასი . . . . . 20 კ.  
**ზ. 6. ანტონოვის თხუზულეზან, ფასი 1 მ.**  
**ქართული ანდაზები**, ფასი . . . . . 10 კ.  
**მეფე ლირი**, ტრაგედია **შექსპირისა** ფასი 60 კ.

Дозволено цензурою. Тифлис, 13 Апреля 1877 г. Тирография Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ განმეორებითი გამოცემის პროექტისა და იდეის ავტორი, რედაქტორ-გამომცემელი **ნუგზარ ჭიანჭველი**  
 სარედაქციო № 2003: **ნელი დარბაიძე, ნინო კერატიშვილი, ნინო შავაძე, ნინო გლუნჩაძე, ლალი გოჩიჩაშვილი, თამუნა დვალი, მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი, მხატვარი, ბუბა არაბული, დიზაინერი ლაშა ჩხენკელი**  
**პროექტი: ივანი – ნანსულა ლაზარაძე – მომავლის მანსაინიანი**  
 პროექტის მხარდამჭერი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა  
**გაზეთი „ივერია“ აღდგენილია, – განმეორებითი გამოცემა დაწყებულია 2011 წლის 2 აგვისტოს**  
**მომავალი შს „სამომავლო სახლი ქართული ელია“** საიდენტიფიკაციო №404852174  
 მისამართი: გ. ლეონიძის 11ა; ტელ.: (+995 32) 299 76 53; [chiaberashvili@gmail.com](mailto:chiaberashvili@gmail.com)